სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 19 სექტემბერი 2006 №216 (2838) ფასი 50 თეთრი



ბაღდადი კალიოლიბაძის ფოტოები

თქვენ მართლა გუნდი ხართ!

საქართველო ერია ძიუდოში ნიჭი

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

ტოტო-ლოტო მორჩა: ტოტი თბილისში მოდის

მსოფლიოს ჩემპიონმა ევროპისკენ გაიწია

გადაწყვეტილი ამბავია — ფრანჩესკო ტოტი იტალიის ნაკრებში დაბრუნდა. „სკუადრა აძურას" თავკაცმა რობერტო დონადონიმ ჟურნალისტებს ახარა, ტოტის ველაპარაკე და მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ის კვლავ ნაკრების მოთამაშეაო.

ესე იგი, ფრანჩესკოს 11 ოქტომბერს თბილისში ვიხილავთ?

სინიორ რობერტო რომში გამართული კონგრესზე შემდეგ შეხვედრია „რომას" ვარსკვლავს და ორიოდ სიტყვით მოახლოებულ ევროშესარჩევ მატჩებზეც თქვა:

„7 და 11 სექტემბერს, შესაბამისად, უკრაინას და საქართველოს ვხვდებით. აუცილებლად 6 ქულა უნდა ავიღოთ ამ თამაშებში, რათა არცთუ კარგი სტარტის შემდეგ მდგომარეობა გამოვასწოროთ. მთავარია, ჩემი ფეხბურთელები ამ მატჩებს კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში შეხვდნენ".

ერთიც: რომაულ კონგრესზე ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის იტალიაში შესაძლო მასპინძლობაზე ილაპარაკეს. დონადონიმ თქვა, მუნდიალის მოგების შემდეგ იტალიაში საფეხბურთო ცხოვრება ადუღდა და ჩვენს ხალხს ძალიან გაუხარდება, ევრო 2012-ის მასპინძლობას თუ გვარგუნებენო.

ლუკა თალაკვაძე

ფრანჩესკო ტოტი

მირჩა ლუჩესკუ

მატუზალემი

უკრაინ-ნულები და სად ვართ ჩვენ: ჩავიხედოთ ჯიბეებში

შორიდან დავიწყოთ და გავიხსენოთ, საბჭოეთის დაშლის შემდეგ უკრაინული და ქართული ფეხბურთი ერთნაირად შავ დღეში რომ აღმოჩნდნენ. მეტიც, პირველი შესარჩევი ციკლი (ევრო 1996) საქართველოს ნაკრებმა უკრაინაზე შთამბეჭდავად ჩაათამაშა. და რა მოხდა მერე? დავიჯეროთ, მხოლოდ ერთმა ანდრეი შევჩენკომ წამოწია უკრაინული ფეხბურთი?

არა, ფეხბურთი ბიზნესია და გვინდა-არგვინდა, მდიდარი ღარიბს ყლაპავს. უკრაინაში გაცილებით მალე და მიზანმიმართულად დაიწყო საკლუბო ფეხბურთში თანხის დაბანდება, საქართველოში კი ჯერ ის კანონპროექტიც არ ამოქმედებულა, რომელიც კლუბს თუნდაც მცირე საგადასახადო შეღავათებს გაუწევს.

საინტერესო ინფორმაციას მივაგენით ერთ-ერთ რუმინულ გაზეთში, სადაც მოცემულია უკრაინის ჩემპიონატის ცნობილი მწვრთნელ-ფეხბურთელების ხელფასები.

ამ მხრივ, დონეცკის „შახტარის" რუმინელი თავკაცი მირჩა ლუჩესკუ ლიდერობს — თვეში 266 ათასი დოლარი.

ფეხბურთელებში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ასევე „შახტარის" ბრაზილიელი ლეგიონერი ფრანსელინო მატუზალემია, ვინც თვეში 192 ათას დოლარს გამოიმუშავებს. უმდიდრესთა შორის შედიან ბრაზილიელი ელანო („შახტარი") და დიოგო რინკონი (კიევის „დინამო") — ისინი თვეში 100-100 ათას დოლარს იჯიბავენ.

დაახლოებით 80-90 ათასს იღებენ კიევის დინამოელები — კლებერი, ვერპაკოვსკისი, იუსუფი; შახტარელები — ჰუბშმანი, ფერნანდინიო, აგაჰოვა და ჟადსონი.

რუმინული პრესის ცნობით, უკრაინაში ლეგიონერებს გაცილებით მეტს უხდიან, ვიდრე ადგილობრივ ვარსკვლავებს. მაგალითად, ანატოლი ტიმოშჩუკს, ალექსანდრ შოვკოვსკის და ოლეგ გუსევს ორჯერ ნაკლები ხელფასი აქვთ — სადღაც 50-60 ათასი დოლარის ფარგლებში.

ახლა შევადაროთ საქართველოს ჩემპიონატში რა ხელფასებია — უმაღლესი, პირველი და რეგიონალლიგის მწვრთნელების ჯამაგირი ერთად რომ შეკრიბო, ლუჩესკუს ხელფასის ნახევარიც არ გამოვა.

არადა, უკრაინა ხომ არაა ისეთი საფეხბურთო ქვეყანა, საფრანგეთთან, ინგლისთან ან გერმანიასთან ახლოს მივიდეს.

უკრაინაშიც არანაკლებ უჭირს ხალხს, უბრალოდ, იქ საფეხბურთო მეურნეობა აწყობილია — საქართველოსთან შედარებაც რომ არ შეიძლება, ისე...

ილია ნანობაშვილი

აბა, ვარსკვლავი მაჩვენე

გუშინ სასტუმრო „ქორთიარდში" ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით ბავშვთა საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რაც დღესდღეობით სწორედ ბავშვთა ფეხბურთშია. საფეხბურთო სკოლებისადმი ფედერაციის მოთხოვნა ბოლო დროს საკმაოდ გამკაცრდა — ის ანარქია, რომელიც ბავშვთა ფეხბურთშია, ერთხელ და საბოლოოდ უნდა მოისპოს.

ფედერაცია ბავშვთა სკოლების შეფასებას „ვარსკვლავთა" რაოდენობით იწყებს — რომელი სკოლაც ამ „ვარსკვლავს" ვერ დაიმსახურებს, ულიცენზიოდ დარჩება და, ბუნებრივია, დაიხურება. ფედერაციის ამგვარი შკალა ერთიდან ხუთ ვარსკვლავამდეა.

გუშინდელ შეკრებაზეც სკოლების წარმომადგენლებს სწორედ ის ანკეტები დაურიგდათ, რისი საშუალებითაც ფედერაციას საშუალება მიეცემა, სკოლებში არსებული მდგომარეობა შესაბამისად შეაფასოს. ფედერაცია და ბავშვთა საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლები წლეულს კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან და სწორედ მაშინ იქნება უფრო საინტერესო ამბები. როგორც ვარაუდობენ ბევრი სკოლა ერთი „ვარსკვლავის" მოთხოვნასაც ვერ დააკმაყოფილებს და ულიცენზიოდ დარჩება.

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

I წრე. 6 ტური

გაგრა 0:0 მეშაქრე
ოლიმპი 3:1 გურია
მეშახტე 1:0 ვიტ ჯორჯია 2
მგლები 3:0 სამტრედია
მაღაროელი 1:0 სპარტაკი
დინამო 2 0:1 ჩიხურა 2
მერცხალი 2:1 ამერი 2
ნ. დინამოელი 2:0 რაჭა
მესხეთი 3:1 ზესტაფონი 2

მგლები	6	5	1	0	9:1	16
ნ. დინამოელი	6	4	1	1	9:4	13
დინამო 2	6	3	2	1	10:3	11
მესხეთი	6	3	2	1	11:6	11
ჩიხურა 2	6	3	2	1	7:4	11
მეშაქრე	6	3	2	1	7:5	11
სპარტაკი	6	3	0	3	7:6	9
მაღაროელი	6	2	2	2	8:7	8
მეშახტე	6	2	2	2	8:8	8
ოლიმპი (თბ)	6	2	2	2	8:8	8
ვიტ ჯორჯია 2	6	2	1	3	10:6	7
გაგრა	6	2	1	3	9:6	7
მერცხალი	6	2	0	4	6:11	6
სამტრედია	6	1	3	2	10:11	6
ზესტაფონი 2	6	1	3	2	6:9	6
რაჭა	6	1	1	4	7:18	4
ამერი 2	6	0	4	2	6:9	4
გურია	6	0	1	5	3:16	1

ინგლისი

კონფერენსლიგა
X ტური
ძროული 0:1 ოქსფორდი

იტალია

სერია C1/B
II ტური.
ჯულიანოვა 0:1 ტერამო

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა
IV ტური
აეკ 3:0 ირაკლისი

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
VII ტური
ტეპლიცე 1:1 სპარტა
ბოლესლავი 2:0 კლადნო

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. VII ტური
მეტალურგი (ზ) 0:0 მეტალისტი
ჩერნომორეცი 2:0 მეტალურგი (დ)

შვედეთი

ალსვენსკა. XVIII ტური
კალმარი 3:0 იოსტერსი
იორგრიტე 3:2 გიოტებორგი
სუპერეტა. XXV ტური
ლანდსკრონა 2:3 მიალბი
ნორჩიოპინგი 4:1 ატვიდაბერგი
ვასბი 0:0 იორებრო

შვეიცარია

სუპერლიგა
VIII ტური
ლუცერნი 2:0 ბაზელი
შაფჰაუზენი 1:3 სიონი
იანგ ბოისი 1:3 გრასჰოპერი

გერმანია

II ბუნდესლიგა
IV ტური
ჰანზა 2:0 კაიზერსლაუტერნი

საფრანგეთი

II დივიზიონი
VIII ტური
გენგამი 1:1 ბრესტი

პორტუგალია

სუპერლიგა
III ტური
ბრაგა 0:1 ლეირია

ნორვეგია

ტიპელიგა
XX ტური
ლილესტრიომი 2:1 ვოლერენგა

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. VI ტური
შოპრონი 0:2 უიპეშტი

ირლანდია

ლიგის თასის ფინალი
დერი სიტი 3:0პენ. (0:0) შელბურნი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების მონაწილეებს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების საფეხბურთო კლუბებს

საპროგრამო განცხადება

ბაჩო ჯიმლეიძის ფოტო

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2004-2005 წწ. სეზონიდან დანერგა საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების სისტემა.

უეფას მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი საერთაშორისო აუდიტორული ფირმა „SGS"-ის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემამ მიიღო საერთაშორისო სერთიფიკატი, რომელიც მას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების უფლებას ანიჭებს.

2006-2007 წწ. ლიცენზირების სეზონში მონაწილეობაზე თანხმობა გამოთქვა 16 კლუბმა (უმაღლესი ლიგის ყველა კლუბი ს.კ. გორის „დილას" გარდა და აგრეთვე, ს.კ. რუსთავის „რუსთავი" პირველი ლიგიდან). სამწუხაროდ, სეზონის განმავლობაში, რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ლიცენზირების პროცესში მონაწილეობაზე წერილობითი უარი განაცხადეს ს.კ. თბილისის „ლოკომოტივმა" და ს.კ. ბათუმის „დინამომ".

სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილებით, უეფას 2006-2007 წწ. სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია მიიღო შვიდმა კლუბმა:

1. ს.კ. ბოლნისის „სიონი"
2. ს.კ. თბილისის „ვიტ ჯორჯია"
3. ს.კ. „დინამო თბილისი"
4. ს.კ. ზესტაფონის „ზესტაფონი"
5. ს.კ. ბორჯომის „ბორჯომი"
6. თბილისის ფკ „ამერი"
7. ს.კ. თბილისის „სპარტაკი"

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ს.კ. ზესტაფონის „ზესტაფონს" ლიცენზირების პროცესში სხვადასხვა სახის დისციპლინარული დარღვევებისთვის დაეკისრა ფინანსური ჯარიმა, რომელიც არ იქნა ვადებში გადახდილი. სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის გადაწყვეტილებით, ს.კ. ზესტაფონის „ზესტაფონს" ჩამოერთვა ლიცენზია.

სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ლიცენზიაზე უარი ეთქვა ს.კ. თელავის „კახეთს", ს.კ. ფოთის „კოლხეთი 1913"-ს და ს.კ. თბილისის „თბილისს".

ს.კ. ქუთაისის „ტორპედოს", ს.კ. ცხინვალის „ცხინვალს", ს.კ. სოხუმის „დინამოს" და ს.კ. რუსთავის „რუსთავს" არ მიეცათ ლიცენზია ლიცენზირების პროცესის სრული იგნორირების გამო და ისინი მკაცრად გაფრთხილდნენ, რომ მომავალში მსგავსი გულგრილი დამოკიდებულებისთვის მათ სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სადისციპლინო დებულებით გათვალისწინებული სერიოზული სანქციები დაეკისრებათ.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ გასულ სეზონში ყველა კლუბის მხრიდან ადგილი ჰქონდა ლიცენზირების ვადების დარღვევას. საფეხბურთო კლუბებს მიეთითათ, რომ მომავალში მსგავს დარღვევებს სერიოზული სადისციპლინო სანქციები მოჰყვება.

2007-2008 წწ. ლიცენზირების სეზონში სფფ-ს წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

ფეხბურთის განვითარების მხარდაჭერა საქართველოსა და ევროპის მასშტაბით;

ახალგაზრდების მოსამზადებლად ხელშემწყობი პირობების მაქსიმალური უზრუნველყოფა;

კლუბების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერება;

კლუბების სტადიონების მოდერნიზაცია ფიფა-უეფა-ს მოთხოვნების, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით;

სწრაფი ინტეგრაცია ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში.

სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემა პასუხობს ევროტურნირებში მონაწილე კლუბებისადმი უეფას მიერ დადგენილი საერთო სტანდარტებისა და ნორმატივების თანმიმდევრულად გამოყენების მინიმალურ მოთხოვნებს. უეფას მოთხოვნების შესაბამისად, კლუბების შეფასების კრიტერიუმები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

სპორტული, ინფრასტრუქტურული, საკადრო-ადმინისტრაციული, სამართლებრივი, ფინანსური.

საფეხბურთო კლუბებს გაეგზავნებათ ლიცენზირების პაკეტი კრიტერიუმთა აღწერითა და ნიმუშებით, რომელთა შესრულება და სეზონის ბოლოს დადგენილ ვადებში სფფ-ში წარდგენა მათ მისცემს უეფას 2007-2008 წწ. სეზონის ევროტურნირებში მონაწილეობის უფლებას. ამასთან, სფფ-ს ექსპერტების მხრიდან კლუბებს მუდმივად გაეწევათ პრაქტიკული დახმარება ამ კრიტერიუმების შესასრულებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს განაცხადისთვის საჭირო დოკუმენტაციის დროულად მიწოდება კლუბებისთვის და კლუბების განაცხადების ეფექტური და ობიექტური განხილვის უზრუნველყოფა.

იმასთან დაკავშირებით, რომ 2008-2009 წწ. სეზონში არალიცენზირებული კლუბი ვერ მიიღებს მონაწილეობას როგორც უეფას საკლუბო ტურნირებში, ისე ეროვნულ ჩემპიონატში, სფფ 2007-2008 წწ. ლიცენზირების სეზონს გამოიყენებს გენერალურ რეპეტიციად მეტად საპასუხისმგებლო შიდასალიცენზიო სეზონის წინ და ამავდროულად იმისთვის, რომ საქართველოს უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბები მაქსიმალურად მოემზადონ ლიცენზირების საკალდებულო მოთხოვნების შესასრულებლად.

საკლუბო ლიცენზირების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად, სფფ მიზნად ისახავს 2007-2008 წწ. ლიცენზირების სეზონში უზრუნველყოს:

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბების მაქსიმალური რაოდენობის მონაწილეობა საკლუბო ლიცენზირების პროცესში;

უეფას ახალი მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების ეროვნული სახელმძღვანელოს ახალი რედაქციის დამტკიცება სფფ-ს აღმასკომზე და აკრედიტირება უეფაში;

სწავლება ლიცენზირების პროცესის მონაწილეთათვის:

ა) სასწავლო-საგანმანათლებლო კურსები ლიცენზირების მოთხოვნების შესახებ, სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების თანამშრომლებისა და საფეხბურთო კლუბების ლიცენზირებაზე პასუხისმგებელ პირთათვის

ბ) სემინარები საკლუბო ლიცენზირების საკითხებზე ზოგადად სფფ-ს თანამშრომლებისთვის

გ) სასწავლო-საგანმანათლებლო კურსები სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით (უცხო ენა, აუდიტი)

დ) სემინარი სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების სისტემის ექსტრანეტის მოხმარების შესასწავლად

ე) საფეხბურთო კლუბების ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მონაწილეობა სფფ-ს მიერ ფეხბურთის წესებისა და ფეარ პლეის პრინციპების შესახებ ორგანიზებულ სემინარებზე

საფეხბურთო კლუბებისთვის საჭირო რაოდენობით შეძენილი კომპიუტერების და პრინტერების, აგრეთვე ფაქსის აპარატების გადაცემა დროებით სარგებლობაში;

არსებული ინფრასტრუქტურის შეფასება, სტადიონების გამოვლენა-განვითარების გეგმის შემუშავება;

ლიცენზირების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საფეხბურთო კლუბების აუდიტის ხარჯების წილობრივი (50%) ანაზღაურება;

მასმედიასთან ურთიერთობის გაუმჯობესება, სპორტული ჟურნალისტების გაცნობა ლიცენზირების მოთხოვნებთან და ამ სფეროში მათი ცოდნის მუდმივი გაღრმავება.

ამას გარდა, სფფ იღებს ვალდებულებას, შეასრულოს უეფას მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების ევროპულ ნორმატივში და გაიაროს აღნიშნულ ნორმატივთან საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების სისტემის შესაბამისობის ყოველწლიური ატესტაცია, რომელიც ტარდება უეფას მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი საერთაშორისო სასერტიფიკაციო ორგანიზაციის მიერ.

სფფ ოპერატიული თათბირებისა და სამსახურებრივი წერილების საშუალებით, მუდმივად ჩაგაყენებთ იმ საკითხების კურსში, რომლებიც ეხება პროგრამის განხორციელებას. დასახული მიზნების რეალიზაციაში თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს და გამოვთქვამ მზადყოფნას, განიხილო ნებისმიერი თქვენი წინადადება ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,
საქართველოს ფეხბურთის
ფედერაციის პრეზიდენტი
ნოდარ ახალკაცი

თქვენი ინტერვიუ

მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ" არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 6 ტური

ჩეხმა კახური ჩააბარა

წაუგებელი „ტორპედო“ გლდანში დაეცა, „ამერი“ კი ისევ ლიდერია

დუშან უჰრინმა ხელები დაიკაპიწა

ყვითლები ყვითელ მაისურას არ იხდიან

დაძაბულობა იყო, ყვითელ-წითელი ბარათები იყო, სენსაციაც იყო — მეტი რაღა, ერთ კვირაში ვერ გარდაიქმნებოდა საქართველოს ჩემპიონატი პრიმერადივიზიონად და სერია A-დ.

კვლავ მოიგო ქულადაუკარგავმა ლიდერმა და კვლავ წააგო უქულო აუტსაიდერმა, მაგრამ არც ერთი ყოფილა უოფლოდ და არც მეორე წამოწოლილა მხართეძოზე. მოკლედ, მივყვეთ...

ლიდერი ვთქვით და, „ამერს“ მართლაც გაუჭირდა „ტორპედოს“ ძლევა. რევაზ ძოძუაშვილს ანგარიშზე თამაში კარგად ეხერხება და თუ დაცვითი ჯებირები ააგო, გოლს ძნელად უშვებს. ეს ყველამ იცოდა და აკი დავრწმუნდით კიდეც — მატჩის ერთადერთი გოლი შეცვლაზე შესულმა რატი წინამძღვრიშვილმა შეაგდო და, მართალია, იმერლებს დაცვიდან შეტევაზე გადაწყობა გაუჭირდათ, მაგრამ რამდენჯერმე კი აანერვიულეს „ყვითლები“.

ერთი გუნდი თამაშობდა ბორჯომში და ეს რუსთავის „ოლიმპი“ იყო. გიორგი კიკნაძე უკვე ყალიბდება კარგ მწვრთნელად, აზრიან და გამართულ ფეხბურთს ათამაშებს გუნდს, თანაც კონტინგენტიც საშური ჰყავს. ისე, აქა-იქ იმასაც ამბობენ, კლუბის ხელმძღვანელობა მის შეცვლას აპირებსო. უცნაური კია, მაგრამ საქართველოში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება...

„ოლიმპის“ მოპირდაპირე მხარეს კი ექვსი არგენტინელით და ერთი კამერუნელით „თავმომწონე“ კურორტელები იდგნენ, მაგრამ უცხოტომელების ყოფნა რომ საქმეს შველოდეს...

ნამატჩევს „ბორჯომის“ თავკაცი ვლადიმერ ხაჩიძე აღშფოთებით ამბობდა, ასეთი ლეგიონერების ჩამოყვანა ქართული ფეხბურთის დაცინვაა, ძირითადი შემადგენლობა სწორედ მათმა ჩამომყვანმა შეადგინა და ამაზე რეაგირებას მოვახდენო.

„ესენი ნაღდად ბირჟიდან აკრეფილი ხალხია. არგენტინაში ასეთი ცუდი ფეხბურთელები როგორ უნდა იპოვო?!“ — ხშირი იყო ასეთი შეძახილები ბორჯომის სტადიონის ტრიბუნებიდანაც.

სენსაციას მივადექით, რომელიც საქართველოს ძველ დედაქალაქში მოხდა: „ვიტ ჯორჯიამ“ ბევრი უტრიალა „მერანის“ კარს, ძელ-ხარიხაც მოიკითხა, მაგრამ გოლი ვერა და ვერ შეაგდო. საოცარია, ეტყობა, მერანელებს სტუმრად თამაში აქვთ კარგად დაცდილი ან რაღაც მოდელი აქვთ შემუშავებული, ფაქტია — შინ ყველა თამაშს აგებენ, სტუმრად კი ხვავბარაქიანები არიან.

0:0 დამთავრდა ზღვისპირული „ბათუმი“ — „ზესტაფონიც“, რაც უფრო მასპინძლების აქტივში უნდა ჩაითვალოს, თორემ ფეროელებს ვინ იცის, სად გაახსენდეთ მწარედ დაკარგული ორი ქულა.

აი, ბოლნისის „სიონმა“ კი კახა ცხადაძის ვაჟის, ბაჩანას გვიანი გოლით გატეხა გორის „დილა“, მაგრამ ფაქტია: ბოლნისელები ძალიან შორს არიან საჩემპიონო თამაშისგან.

„თამამად ვიტყვი, ქართული ფეხბურთის უპირველესი მტრები მსაჯები არიან“ — თქვა „ჩიხურასთან“ 1:1-ის შემდეგ „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ამირან მინაშვილმა, მაგრამ თქვენ გგონიათ, მასპინძლები იყვნენ კმაყოფილნი მსაჯობით? ეს რაც შეეხება თემიდისადმი წყრომას, შედეგით კი უფრო „ჩიხურა“ უნდა იყოს გაბრაზებული, რადგან სტუმრად ხომ საერთოდ ვერ აგროვებს ქულებს და შინაც ვერ ბარაქიანობს.

ბოლოს კი დუშან უჰრინის დინამოურ დებიუტზეც. ჩეხმა ბევრი იყვირა, ბევრჯერ დაუცაცხანა თავის შეგირდებს და საბაბიც ჰქონდა: „დინამო“ 61-ე წუთამდე ვერ უგებდა ბოლოადგილოსან თელავის „კახეთს“, საბოლოოდ კი „მორცხვი“ 2:1 იკმარა.

„ახალგაზრდულ გუნდთან ვმუშაობ და ბიჭებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო დღევანდელი მოგება. კმაყოფილი ვარ, მაგრამ ცუდია, ამდენი მომენტი რომ გავაფუჭეთ“ — ასეთი იყო უჰრინის მატჩისშემდგომი კომენტარი.

ილია ნანოგაშვილი

სიმბოლური ნაკრები

სულიკო დავითაშვილი — ამერი
ვლადიმერ გოჩაშვილი — ლოკომოტივი
თორნიკე აფციაური — ოლიმპი
გიზო ჯელაძე — ამერი
უოსიმარ ამბროზიო — დინამო
ლაშა ძიგაძე — ოლიმპი
შოთა ჩომახიძე — ჩიხურა
გიორგი ოსიტაშვილი — მერანი
დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო
თიმურ ფარულავა — ტორპედო
კონსტანტინე სეფიაშვილი — მერანი

ჩიხურა 1:1 ლოკომოტივი
ბორჯომი 0:4 ოლიმპი
ამერი 1:0 ტორპედო
დინამო 2:1 კახეთი
ვიტ ჯორჯია 0:0 მერანი
ბათუმი 0:0 ზესტაფონი
დილა 0:1 სიონი

ამერი	6	6	0	0	12:1	18
ოლიმპი	6	5	1	0	14:0	16
ვიტ ჯორჯია	6	4	2	0	12:4	14
დინამო	6	4	0	2	12:5	12
ზესტაფონი	6	3	2	1	7:3	11
ტორპედო	6	3	2	1	5:2	11
სიონი	6	3	0	3	7:6	9
მერანი	6	2	1	3	6:10	7
ბათუმი	6	1	2	3	5:6	5
ლოკომოტივი	6	1	2	3	5:9	5
ჩიხურა	6	1	2	3	4:8	5
ბორჯომი	6	1	1	4	7:14	4
დილა	6	0	1	5	2:16	1
კახეთი	6	0	0	6	5:19	0

ბომბარდირები

4-	ზეიქრიშვილი	ვიტ ჯორჯია
	გოჩაშვილი	ლოკომოტივი
	დვალიშვილი	ოლიმპი
3-	დვალი	დინამო
	იაშვილი	დინამო
	საჯაია	ბორჯომი/ზესტაფონი
	გაგუა	მერანი
	სახოკია	ვიტ ჯორჯია
	გელაშვილი	ვიტ ჯორჯია

მომდევნო ტური

23 სექტემბერი, შაბათი

ტორპედო – ბორჯომი
სიონი – ამერი
კახეთი – დილა
ზესტაფონი – დინამო
ლოკომოტივი – ბათუმი
მერანი – ჩიხურა
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია

ქართველები უცხოეთში

კახა კალაძის სამჭულიანი დაბრუნება

ორი კაპიტანი

კალაძემ კობიაშვილს დაასწრო

საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** საბოლოოდ გამოჯანრთელდა და გუშინ პირველი საამსეზონო მატჩი ჩაატარა — „მილანმა“ სტუმრად „პარმას“ 2:0 მოუგო და ჩვენებური მე-19 წუთზე ალესანდრო კოსტაკურტას ნაცვლად გამოჩნდა მოედანზე.

სამაგიეროდ, ზედიზედ მეორე თამაშია, გუნდს ვერაფრით ეხმარება **ლევან კობიაშვილი** — უკრაინასთან მატჩში დაშავებული კობიაშვილი გელზენკირხენში ექიმებს გაესინჯა და საიმედო პასუხი ვერ მიიღო, მის გამოჯანმრთელებას დრო სჭირდება.

პირველი საამსეზონო მოგება იზეიმა „ბლექბერნმა“. მარკ ჰიუზის შეგირდებმა შინ „მანჩესტერ სიტი“ 4:2 დაამარცხეს, **ზურაბ ხიზანიშვილმა** კი სრულად ითამაშა.

ზედიზედ მეოთხე მატჩია, ყოჩაღობს „ალკმაარის“ ახალი კაპიტანი **შოთა არველაძე**. უკრაინაში გატანილი სუპერგოლის შემდეგ შოთა კლუბსაც შეეშველა და ჩემპიონატში თუ უეფას თასზე, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. არველაძემ ამჯერადაც გაიტანა — ენსხედეს „ტვენტეს“ გაუთანაბრა, თუმცა ალკმაარელებმა მაინც ვერ შეძლეს მოგება და ოდენ ფრეს დასჯერდნენ.

ორი ქართველი მოხვდა რუსული პრემიერლიგის მეოცე ტურის სიმბოლურ ნაკრებში — ლოკომოტიველი **მალხაზ ასათიანი** (მეექვსედ) და ნალჩიკელი **გოგიტა გოგუა**.

რკინიგზელებმა თანაქალაქელ „სპარტაკთან“ გაიყვეს ქულები (0:0), ისევე, როგორც „ნალჩიკმა“ უქართველო „რუბინთან“. სხვათა შორის, „სპორტ-ექსპრესმა“ გოგუა ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

სამი ქართული გოლი გავიდა უკრაინის ჩემპიონატში. კრივბასელი **ვასილ გიგიაძე** დუბლით გამოირჩა — კრივოიროგელებმა 2:0 მოუგეს „ზარიას“ და გიგიაძის გარდა ძირითადში იყო **ლადო ბურდულიც**.

ქულა გადაურჩინა გუნდს **ჯაბა კანკავამ** — კიევის „არსენალი“ 0:1 აგებდა სტუმრად **გიორგი ციმაკურიძის** „სტალთან“ და ჩვენებურმა შორეული დარტყმით გაათანაბრა.

კახა ზალამგერიძე

შოთა არველაძე მოწინააღმდეგეთა კარებს ძალიან „დაუმეგობრდა“

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	პარმა 2:0	71	შეცვლაზე ითამაშა	1	0	17
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ჰერტა 0:2	0	ტრავმირებულია	3	0	6
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	მიუნხენი 1:1	0	განაცხადში არ იყო	3	0	13
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	მიუნხენი 1:1	0	სათადარიგო	0	0	13
დავით სირაძე	აუე	შ	ფიურტი 0:3	0	განაცხადში არ იყო	3	0	14
მათე ღვინიანიძე	მიუნხენი	შ	ფრაიბურგი 1:1	90		3	0	4
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	დარმშტადტი	ს	მიუნხენი (მ) 0:2	0		6	0	17
გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ლაიპციგი	შ	აუერბახი 0:0	0		1	0	7
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლექბერნი	შ	სიტი 4:2	90		4	0	12
ჰოლანდია. ერედივიზიონი. პლეი ოფი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	ტვენტე 2:2	90	1 გოლი	4	2	1
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	ალკმაარი 2:2	0		1	0	10
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	სპარტაკი 0:0	90	გააფრთხილეს	13	0	2
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	შ	სპარტაკი 0:0	0	ტრავმირებულია	3	0	2
მიხეილ აშვეთია	რუბინი	შ	ნალჩიკი 0:0	0	სათადარიგო	12	0	8
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	შ	ნალჩიკი 0:0	0	ტრავმირებულია	4	0	8
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	ნალჩიკი 0:0	0	სათადარიგო	10	0	8
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	შ	ნალჩიკი 0:0	0	სათადარიგო	2	0	8
ზურაბ არზანი	რუბინი	შ	ნალჩიკი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	8
ბექა ჟღენტი	ტორპედო	შ	როსტოვი 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	15
დავით მუჯირი	კრილია	ს	ზენიტი 0:1	90		17	4	11
გიორგი ლომაია	ლუჩ-ენერგია	შ	მოსკვა 1:1	0	სათადარიგო	0	0	10
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	ს	რუბინი 0:0	90		18	2	6
ალექსანდრე ჩიხრაძე	ნალჩიკი	ს	რუბინი 0:0	90	გააფრთხილეს	20	0	6
ლევან გვაზავა	ნალჩიკი	ს	რუბინი 0:0	0	სათადარიგო	17	2	6
ალეკო ამისულაშვილი	შინიკი	შ	სატურნი 0:0	90		9	1	16
ზურაბ მენთეშაშვილი	შინიკი	შ	სატურნი 0:0	90	გააფრთხილეს	6	0	16
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	შ	ილიჩევეცი 1:0	1	შეცვლაზე ითამაშა	2	0	2
დავით იმედაშვილი	დინამო	შ	ილიჩევეცი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	1	0	2
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	ჩერნომორეცი 0:2	23	შეცვლაზე ითამაშა, გააფრთ.	7	2	12
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	მეტალისტი 0:0	61	შეცვალეს	5	0	14
დავით კვირკველია	მ. ზაპოროჟიე	შ	მეტალისტი 0:0	90		5	1	14
ლევან სილაგაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	მეტალისტი 0:0	0		0	0	14
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	შ	მ. დონეცკი 2:0	90		4	0	8
კახა მჟავანაძე	ჩერნომორეცი	შ	მ. დონეცკი 2:0	1	შეცვლაზე ითამაშა	5	0	8
გიორგი შაშიაშვილი	ჩერნომორეცი	შ	მ. დონეცკი 2:0	0		4	0	8
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	შ	ზარია 2:0	73	2 გოლი, გააფრთ, შეცვალეს	7	6	7
ლადო ბურდული	კრივბასი	შ	ზარია 2:0	80	გააფრთხილეს, შეცვალეს	7	1	7
კახა ალადაშვილი	დნიპრო	ს	ხარკოვი 0:0	0		3	0	6
ჯაბა კანკავა	არსენალი	ს	სტალი 1:1	90	1 გოლი	6	2	3
ლაშა ჯაკობია	არსენალი	ს	სტალი 1:1	0	ტრავმირებულია	5	2	3
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	შ	არსენალი 1:1	90		5	0	15
სერგო ორბელაძე	ილიჩევეცი	ს	დინამო 0:1	0		1	0	10
საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა								
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	შ	პანათინაიკოსი 0:1	18	შეცვლაზე ითამაშა	2	0	16
ლევან მაღრაძე	ქსანთი	ს	კალამარია 0:2	90		3	0	15
საბერძნეთი. მეორე ლიგა								
დავით ქოქიაშვილი	ეთნიკოსი	შ	ტრიპოლისი 1:0	84	საგოლე პასი, შეცვალეს	2	0	9
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ლკს	ს	კრაკოვია 1:1	0		1	0	3
ბულგარეთი. უმაღლესი დივიზიონი								
ვლადიმერ კაკაშვილი	რილსკი	ს	სლავია 1:0	0		4	0	15
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ზაალ ელიავა	სკონტო	ს	მეტალურგსი 1:3	0	ტრავმირებულია	12	0	2
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	მეტალურგსი 1:3	0	განაცხადში არ იყო	2	0	2
ალექსანდრე რეხვიაშვილი	იურმალა	ს	დიტონი 0:0	90		8	0	5
ირაკლი ქორთუა	დიჟვანაგი	შ	დინაბურგი 0:2	90		3	0	8

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ისევ ჩემი ბრალია?!

მორატი მანჩინის სამამდე დაუთვლის

მილანის „ინტერში“ კვლავ არეულობაა. ერთი შეხედვით სერიოზულად გაძლიერებული კლუბი თავის თამაშს ვერა და ვერ პოულობს. გასულ უქმეებზე რობერტო მანჩინის შეგირდებმა გენუის „სამპდორიასთან“ ორი ქულა დაკარგეს, რასაც „ნეროაძურის“ მორიგი კრიტიკა მოჰყვა.

გრძელდება მანჩინის და ადრიანოს კატაძაღლობანაც. „ინტერის“ თავკაცმა ბრაზილიელი სათადარიგოთა სკამზე დასვა და მხოლოდ 78-ე წუთზე შეუშვა მინდორზე. მატჩის შემდეგ ადრიანომ, რომელიც თვლის, რომ პრესა ზედმეტად აკრიტიკებს და განაწყენებულია, არავის გაესაუბრა. ერთი ჟურნალისტი გასახდელთან ელოდებოდა, მაგრამ ბრაზილიელმა მას ჩაუარა, მერე ცოტა ხნით გაჩერდა და ირონიულად უთხრა — ისევ ჩემი ბრალია, არა? ეჰ...

ჟურნალისტებზე გაბრაზებულია მანჩინიც: „თქვენ ყოველთვის ამბობთ, რომ ტაქტიკას ხშირად ვცვლი და უსარგებლო როტაციას მივმართავ. ლისაბონში „სპორტინგთან“ მართლაც სხვაგვარად ვითამაშეთ, მაგრამ ეს იძულებითი იყო. ჩვეულებრივ 4 ნახევარმცველს ვიყენებ, მაგრამ როცა ესტებან კამბიასო დაშავებულია, ეს ყველაფერს მნიშვნელოვნად ართულებს. ლუიშ ფიგუს კი ფლანგზე გაუთავებელ წინ და უკან სირბილს ნუ მოსთხოვთ. ტყუილად რატომ უნდა დაიღალოს, როცა სხვა სასარგებლო საქმის კეთება შეუძლია. თან არ დაგავიწყდეთ, რომ იგი 34 წლისაა“.

ბუნებრივია, ჟურნალისტებმა მანჩინის ადრიანოზეც ჰკითხეს და მეკარეზეც. „სამპდორიასთან“ „ინტერის“ კარს ფრანჩესკო ტოლდოს ნაცვლად, მომჯობინებული ჟულიო სეზარი იცავდა.

„ერნან კრესპო და ზლატან იბრაჰიმოვიჩი ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებენ. სულ ცოტა ხანია, რაც ისინი ერთად არიან და შესათამაშებლად გარკვეული დრო სჭირდებათ. ეგებ მე და ადრიანოს ძალიანაც გვინდა, რომ „ინტერმა“ სამი თავდამსხმელით ითამაშოს, მაგრამ ეს ძნელია, თუ შეუძლებელი არა, რადგან ორი ფორვარდი საკმარისია და იმხელა ზონას ფარავს, რამხელასაც სამი დაფარავს. ხოლო თუ შემტევი ტრიოთი ვითამაშებთ, შეიცვლება ის, რომ შუაში კაცი დაგვაკლდება და ეს დიდი რისკია. რაც შეეხება ტოლდოს, აქ გასაკვირი არაფერია. ყოველთვის ვამბობდი, რომ პირველ მეკარედ ჟულიო სეზარს მოვიაზრებ. ის მომჯობინდა და თავის ადგილს დაუბრუნდა კიდეც“ — დასძინა მანჩინიმ.

იტალიურმა პრესამ კი საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა — „ნეროაძურის“ მფლობელ მასიმო მორატის ყელში ამოუვიდა წარუმატებლობები და მანჩინის სამ თამაშს აძლევს ყველაფრის გამოსასწორებლად და თუ კიდევ უკმაყოფილო დარჩა, მოხსნისო. შუა კვირაში „ინტერი“ „რომას“ ხვდება, მერე „კიევოს“, ხოლო მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგაზე მიუნხენის „ბაიერნს“.

ცნობილია კანდიდატების სიაც — სვენ გორან ერიკსონი, მარჩელო ლიპი და ექტორ რაულ კუპერი. აღვნიშნოთ, რომ აქედან ბოლო ორი ადრე უკვე წვრთნიდა „ინტერს“, მაგრამ მორატიმ კუპერი რატომღაც გაუშვა. არადა, „ნეროაძური“ ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს იყო. ლიპი კი რამდენიმე მატჩის მერე თავად წავიდა.

იმასაც ამბობენ, ზლატან იბრაჰიმოვიჩითა და ერნან კრესპოთი შევიწროებულმა ადრიანომ საბოლოოდ აიცრუა გული „ინტერზე“ და წასვლას იანვარში ეცდება. მის მსურველად ჯერჯერობით მხოლოდ მადრიდის „რეალი“ სახელდება. ხოლო „ნეროაძური“ „იუვენტუსიდან“ ჯანლუიჯი ბუფონის გადაბირებას შეეცდება, რადგან ამჟამინდელი მეკარეების, ჟულიო სეზარისა და ფრანჩესკო ტოლდოს თამაში არ აკმაყოფილებსო.

გიორგი კაკაბაძე

ბალაკმა წითელი პირველად ნახა

ლივერპულელი მომო სისოკოს ჩაწიხლვისთვის გაძევებულმა მიხაელ ბალაკმა მოიბოდიშა და თქვა, სულაც არ მინდოდა, რომ მისთვის მძიმე ტრავმა მიმეყენებინაო. „ეს მომენტი ტელევიზორში ვნახე და სასტიკად არ მომეწონა. დავაგვიანე და ისე გამოჩნდა, თითქოს განზრახ ჩავარტყი — თქვა ბალაკმა — აქამდე პირდაპირ წითელი არასდროს მიმიღია. ორჯერ ვარ გაძევებული ყვითლებით, წითლით პირველად მომიხდა“.

„ჩელსი“ — „ლივერპულის“ თამაშზე კი ერთმანეთს შეურიგდნენ მაურინიუ და ბენიტესი.

აქამდე ისინი ერთმანეთს ხელს არ უწვდიდნენ, რაც ინგლისში მიღებული წესია, ახლა კი გვირაბში ულაპარაკიათ კიდეც. „ახლო მეგობრები არ ვართ, მაგრამ კარგ ურთიერთობას და პატივისცემას ხელს არაფერი უშლის“ — თქვა მაურინიუმ.

„ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ხალხს დავანახეთ, რომ არ ვიბუტებით“ — დაურთო ბენიტესმა.

ჯანლუკა პალიუკამ 570 შეუსრულდა

ჯანლუკა პალიუკამ სერია A-ში ახალი რეკორდი დაამყარა — 39 წლის გოლკიპერს მეკარეთა შორის ისტორიული შედეგი, 570 თამაში დაუგროვდა. ბუნებრივია, როდესაც ახალ რეკორდსა და რეკორდსმენზე ვსაუბრობთ, ძველიც უნდა ვახსენოთ. წინა რეკორდი ლეგენდარულ დინო ძოფს ეკუთვნოდა — 569, მეკარეთა და დანარჩენთა საუკეთესო შედეგი კი „მილანის“ კაპიტნის პაოლო მალდინისაა. მალდინის სერია A-ში 589-ჯერ გაუგორებია ბურთი.

პალიუკამ კარიერა „სამპდორიაში“ დაიწყო, სადაც 1987-94 წლებში ითამაშა, შემდეგ გადავიდა „ინტერში“ (1994-99), საიდანაც „ბოლონიას“ მიაშურა (1999-2005) და ბოლოს „ასკოლიში“ იპოვნა ნავსაყუდელი.

ცნობილ გოლკიპერს ტიტულები ნამდვილად არ აკლია: გენუის გუნდში თასების მფლობელთა თასი და იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, „ინტერში“ უეფას თასი (სხვათა შორის, მაშინ გუნდის კაპიტანი გახლდათ) თუმცა ჰქონია მარცხიანი ფინალიც — 1992 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში „სამპდორიამ“ „ბარსელონასთან“ წააგო.

პალიუკას სანაკრებო დონეზეც დიდი გამოცდილება აქვს. 1994 და 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე სწორედ ის იდგა „სკუადრა აძურას“ კარში, რაც იმას ნიშნავს, რომ წაგებული ფინალის მწარე გემო მუნდიალის სიმაღლიდანაც ეცნობა — 1994 წელს ბრაზილიამ იტალიას პენალტებით რომ აართვა ჩემპიონის ტიტული, კარში სწორედ პალიუკა იდგა.

რაც შეეხებათ ქართველ ქომაგებს, მათ არასდროს დაავიწყდებათ 1996 წლის 13 ოქტომბერი, როდესაც პერუჯაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში პალიუკამ გიორგი ნემსაძისა და თემურ ქეცბაიას დარტყმებისგან სასწაულებრივად იხსნა კარი.

პაპუნა კედია

გერმანია

თასის II ეტაპის წილისყრა

ოსნაბრიუკი — მიონხენგლადბახი; ბაიერლსბერგი — შტუტგარტი; კიკერსი — ჰერტა; ბირმასენსი — უნტერჰახინგი; ბოხუმი — კარლსრუე; პადერბორნი — ნიურნბერგი; ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი; ვოლფსბურგი — ფრაიბურგი; ესენი — აინტრახტი; დორტმუნდი — ჰანოვერი; კიოლნი — შალკე; დუისბურგი — ლევერკუზენი; ალემანია — აუე

მატჩები გაიმართება 24-25 ოქტომბერს

ჩილე

კლასესური. X ტური

ევერტონი — რეინჯერსი 3:0; კობრესალი — უნიონ ესპანიოლა 2:4; უაჩიპატო — უონდერერსი 2:3; სან მორნინგი — კოკიმბო 2:2; უნივერსიდად კათოლიკა — აუდაქს იტალიანო 5:1; ო ჰიგინსი — უნივერსიდად დე ჩილე 2:0; კობრელოა — ანტოფაგასტა 3:1; ლა სერენა — პუერტო მონტი 0:0; კოლო კოლო — უნივერსიდად კონსეპსიონი 4:2

მექსიკა

აპერტურა. IX ტური

სანტოსი 0:0 სან ლუისი

ბრაზილია

სერია A

XXIV ტური

ატლ. პარანენსე — სანტა კრუზი 2:1; კორინთიანსი — პარანა 1:0; ვასკუ და გამა — გოიასი 0:0; კრუზეირო — პალმეირასი 1:0; გრემიო — ბოტაფოგო 4:0; ფლუმენსე — სან კაეტანო 1:0; სან პაულუ — ინტერნასიონალი 2:0; ფლუმინენსე — ფიგეირენსე 2:0; ფორტალეზა — ფლამენგო 3:4; პონტე პრეტა — სანტოსი 1:0

არგენტინა

აპერტურა

VII ტური

კილმესი — ოლდ ბოისი 2:3; არგ. ხუნიორსი — ლანუსი 1:3; არსენალი — რასინგი 3:2; კოლონი — ველესი 1:0; როსარიო — ესტუდიანტესი 1:0; ბელგრანო — ნუევა ჩიკაგო 1:1; ბოკა ხუნიორსი — გოდოი კრუზი 0:0; ინდეპენდიენტე — სან ლორენსო 0:1; ხიმნასია (ხ) — რივერ პლეიტი 1:2; ბანფილდი — ხიმნასია (ლ) 0:0

აშშ

MLS. XXVIII ტური

ჩიკაგო 1:0 ვაშინგტონი

ჰიუსტონი 0:0 ჩივასი

ჰარი რედნაპი ხომ ყველამ იცის, „პორტსმუთის“ მწვრთნელია და გუნდი პირველ ადგილზე ჰყავს, მაგრამ ამჯერად მის საფეხბურთო წარმატებაზე კი არა, თაღლითობაზე გვინდა დაგელაპარაკოთ

ფული და ჩურჩული პრემიერლიგაში

ინგლისის ჩემპიონატის თაღლითი ლიდერი


ენდი ტოდი

ჰარი რედნაპი

საქმე ის გახლავთ, რომ რედნაპი ტელეკომპანია **BBC**-ს პროგრამა „პანორამამ“ აგენტ პიტერ ჰარისონთან ჩურჩულში ამხილა, ჩურჩულის თემა კი „ბარნლიში“ გაქირავებული „ბლექბერნის“ მცველი ენდი ტოდი გახლავთ. ერთი სიტყვით, რედნაპი აკეთებდა იმას, რაც არ შეიძლება — გადიოდა ფეხბურთელზე, რომელსაც სხვა გუნდთან აკავშირებს კონტრაქტი, რაც ინგლისური წესების თანახმად არც პირდაპირ შეიძლება და არც ირიბად, გნებავთ ჰარისონის და გნებავთ მაკარტნის დახმარებით. ერთი სიტყვით, რედნაპს, ალბათ, **BBC**-სთან ომი ელის.

„სინამდვილეში იცით რა მოხდა? — განუმარტა მწვრთნელმა **news of the world**-ის კორესპონდენტს — აგენტმა ჰარისონმა მკითხა რას ვფიქრობ ენდი ტოდზე, მე კი ვუპასუხე, რომ ის მაგარი ბიჭია და ეგეთს ჩემს გუნდში სიამოვნებით ვიყოლიებდი, ეს იყო და ეს. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ მოკლე გასაუბრება, ისეთი, როგორსაც მწვრთნელებს, მენეჯერებს, დირექტორებს და ფეხბურთში ჩარეულ სხვა ადამიანებს შორის ყოველ დღე უამრავს გადააწყდებით და ამის რაიმე კანონსაწინაალმდეგო ქმედებად წარმოდგენა სასაცილოა და მეტი არაფერი.“

სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს სააგენტო **Dynamic Soccer**-მა ჰარი რედნაპს შეჯიბრებაზე თავისი ხარჯით გამგზავრება და ფეხბურთელების დაზვერვა შესთავაზა. საუბარია იმ ფეხბურთელებზე, რომელთაც ხსენებული სააგენტო მერე კონტრაქტს გაუფორმებდა, მაგრამ მწვრთნელმა შორს დაიჭირა:

„ნუთუ ვინმემა იფიქრა რომ მე თაღლითობას ვიკადრებდი? თაღლითობა ცხოვრებაში არ მომსვლია თავში აზრად და ამ სიბერეში ხომ მითუმეტეს არ გავისვრი ხელს. როგორ შეიძლება ასეთ საქმეში აგენტს ფული გამოართვა? აგენტები ხომ თავიანთ კლიენტებთან ისე ახლოს არიან, რომ ყველაფერს უამბობენ და მერე, თუ ოდესმე ეს ფეხბურთელი შენი გუნდის წევრი გახდება, როგორ უნდა შეუძახო და მოსთხოვო, როდესაც მას კარგად ეცოდინება ვინ ხარ და როგორ აკვარახჭინებ საქმეებს. რო[illegible] ლიოს ჩემპიონატი [illegible] ვუგე, რომ წასვლას და რამდენიმე თამაშის ნახვას მართლაც ვაპირებდი, მაგრამ, ბუნებრივია ამას ჩემი საკუთარი ფინანსებით ვაპირებდი. შემდეგ, ისე მოხდა, რომ გერმანიაში საკუთარ ვაჟთან, ჯეიმისთან ერთად, ერთადერთ შეხვედრას, ბრაზილია — განას დავესწარი“.

შემდეგ, რედნაპმა ჰარისონთან შეხვედრის შესახებ ისიც თქვა, რომ საუბარი „პორტსმუთის“ საწვრთნელ ცენტრში შედგა და მისა და ჰარისონის გარდა გერმანელი ბიზნესმენი მავანი კნუტ აუფდემბერგი და „პორტსმუთის“ ასისტენტი მწვრთნელი კევინ ბონდიც ესწრებოდნენ.

„ჰარისონს ხეირიანად არც ვიცნობ, ექვსი თუ შვიდი წელიწადია არ შევხვედრივარ. ოდესღაც „ვესტ ჰემში“ ერთად ჰაიდენ ფოქსი გადავიყვანეთ და ეგ იყო, იმ დღეს კი კევინმა მითხრა, რომ დაურეკია, „ბლექბერნთან“ ჩვენი თამაშის ნახვა მონდომებია და თან ჩემთან შეხვედრასაც ითხოვდა. კევინისგან ისიც ვიცოდი, რომ მავან ამერიკელ მილიონერს 2 მილიონ გირვანქად ჰარისონის სააგენტოს შეძენა სდომებია და შუამავლად ალან შირერის გამოყენებას ვარაუდობდნენ. მე, საერთოდ, ხალხს ვეხმარები და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული ვიყავი, რამდენიმე წუთით მოვიცალე მათთან შესახვედრად. ვატყობ, ჯობდა არ მომეცალა.“

ბაპუნა ძიძია

ვინც დაწერა და ჩამოგვწერა

ვენგერის ადებაიორული პასუხი


ემანუელ ადებაიორი

ლონდონის „არსენალმა“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ოლდ ტრეფორდზე“ დაამარცხა, თანაც ტრავმირებული ტიერი ანრის გარეშე და ოთხმატჩიანი მოგებების სერია შეუწყვიტა. ამ მატჩის შემდეგ „მეთოფეების“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს და ვინც ცუდი სტარტის გამო „არსენალი“ ჩამოწერა, ძალიან შეცდა.

„მანჩესტერის“ თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა თამაშამდე თქვა, „არსენალში“ თაობათა ცვლა მიდის და ამიტომ „მეთოფეებს“ პრობლემები ექნებათ, მაგრამ ვენგერმა მას მოგებით უპასუხა და კომენტარიც მოაყოლა.

„ვერ ვგრძნობ, რომ ჩვენთან თაობათა ცვლა მიდის და გუნდში ისეთი გადახალისებაა, რაც ხელს შეგვიშლის თამაშში. მართალია, ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ ჩვენ „არსენალი“ ვართ და შესაბამისად, ამბიციაც გვაქვს. ცუდი სტარტის შემდეგ ყველამ ჩამოგვწერა. გაზეთებში იმასაც კი წაიკითხავდით, „მეთოფეები“ პრემიერლიგიდან გავარდებიანო, მაგრამ იმედია, ახლა ყველამ დაინახა, რაც შეგვიძლია. ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ“ — განაცხადა ვენგერმა.

„არსენალმა“ გამარჯვების გოლი 85-ე წუთზე შეაგდო. ეს ტოგოელმა ემანუელ შედი ადებაიორმა გააკეთა. თუმცა „მეთოფეებს“ წინ გასვლა პირველივე ტაიმში შეეძლოთ, მაგრამ ჟილბერტო სილვამ პენალტი გააფუჭა.

„მე ამ გუნდის მჯერა, თავადაც ნახეთ, თუ რა ძლიერები ვართ. მთელ მატჩს ვაკონტროლებდით და მეტოქეს ყველაფერში ვჯობდით. თანაც როცა ასეთი დონის შეხვედრაში პენალტს ვერ გამოიყენებ და მაინც მოიგებ, ეს ბევრს ნიშნავს. მებრძოლი ხასიათი და ჩვენი პოტენციალი გამოვავლინეთ“ — თქვა ვენგერმა.

ლონდონელებმა მართლაც კარგად, გუნდურად და ჭკვიანურად ითამაშეს, თუმცა განსაკუთრებით, მოუსვენარი ფრანსესკ ფაბრეგასი და მეტოქის მცველებში უპრობლემოდ მოსეირნე ადებაიორი უნდა გამოვარჩიოთ.

„ფაბრეგასი შეუჩერებელი იყო. მან მართლაც საოცრად ითამაშა, მაგრამ ყველას ერთნაირად ეკუთვნის შექება. ადებაიორმა კი სწორედ ის შემატა გუნდს, რაც გვაკლდა. პირველ სამ თამაშში ის არ მიგვიღია, რაც დავიმსახურეთ, წესით, მეტი ქულა უნდა გვქონოდა, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინაა“ — დასძინა ვენგერმა.

„მანჩესტერის“ მთავარი მინუსი დაცვისა და განსაკუთრებით ნახევარდაცვის ცუდი თამაში იყო. ფლანგელებმა კრიშტიანუ რონალდუმ და დარენ ფლეტჩერმა მატჩი პირწმინდად ჩააგდეს. პირველ რიგში ეს პორტუგალიელს ეხება, რომელმაც ბევრი შეცდომა დაუშვა და გოლიც მას მერე გავიდა, რაც მან ბურთი დაკარგა. თუმც ფერგიუსონმა თავისი ერთ-ერთი საყვარელი მოთამაშე ისევ დაიცვა.

„მეორე ტაიმში ინერტულები ვიყავით და „არსენალმა“ მოგება დაიმსახურა. ბოლო 25 წუთი ლონდონელებმა ჩვენზე ბევრად უკეთ ჩაატარეს. სადავეები მაშინ გაგვექცა, როცა პასებით წინსვლა და ფორვარდების მომარაგება შევწყვიტეთ. ერთი სიტყვით, ცუდად ვითამაშეთ, არადა ბევრად უკეთ შეგვიძლია. რაც შეეხება რონალდუს, იგი სწორედ იმიტომ მჭირდება, რომ ორთაბრძოლაში შესვლას და მეტოქის მოტყუებას არ უშინდება. ცხადია, ასეთი ფეხბურთელები ბურთსაც კარგავენ ხოლმე, ამაში განსაკუთრებული არაფერია“ — აღნიშნა ფერგიუსონმა.

გიორგი ძაძამიძე



დელ პიერო სერია B-შიც თავდაუზოგავია

პატარა დამუშა

დიდიე დეშანს კომუნალური მოსწონს

ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელმა დიდიე დეშანმა დიდი მადლობა გადაუხადა „ვიჩენცასთან“ მატჩში მისი გუნდის მხარდასაჭერად მისულ საკმაოდ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს. მოგეხსენებათ, „ბებერ ქალბატონს“ სამი საშინაო შეხვედრის ნეიტრალურ მინდორზე გამართვა აქვს მისჯილი. თუმც ეს პირობითია, რადგან „დელე ალპის“ ნაცვლად „იუვე“ ტურინშივე თამაშობს, „სტადიო კომუნალეზე“, რომელსაც ახლა „გრანდე ტორინო“ ჰქვია და მისი რეკონსტრუქცია ცოტა ხნის წინ დასრულდა.

დიდიე დეშანი: „კარგია, რომ ტურინში საფეხბურთო აჟიოტაჟი არ ცხრება და ჩვენი ფანების სასაუბრო თემა უცვლელია. მათი მხარდაჭერა ძალიან გვჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებული სეზონი ვერ გვექნება. ეს სტადიონი უფრო პატარაა და ეგებ ხალხს ბილეთების შოვნაც კი გაუჭირდეს, მაგრამ დიდი პლუსი აქვს — ქომაგები მთლად ახლოს არიან და ისეთი ატმოსფერო იქმნება, როგორიც საჭიროა.“

„რიმინისთან“ მოულოდნელი ფრის შემდეგ „იუვემ“ „ვიჩენცას“ 2:1 მოუგო და სერია B-ში თავისი პირველი გამარჯვება იზეიმა. ცხადია, დეშანი ამით კმაყოფილია, მაგრამ იცის, რომ მის გუნდს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო.

„წმინდა ემოციური თვალსაზრისით, ეს ბრწყინვალე მატჩი იყო — აგრძელებს დეშანი — ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და ბოლომდე დავიხარჯეთ. როცა მეორე გოლი გავიტანეთ, ცოტა დავმშვიდდი და ტაქტიკის გადაწყობა ვცადე, რითაც „ვიჩენცას“ ერთი ბურთის გაქვითვის საშუალება მივეცით. „რიმინისთან“ ცოტა შიშით ვთამაშობდით და შემართებაც გვაკლდა, რაც უკვე გამოვასწორეთ. დაცვაზე სამუშაო გვაქვს, ზედმეტ შეცდომებს ვუშვებთ, მაგრამ სეზონი სულ ახალი დაწყებულია და ეს ჩვეულებრივი ამბავია. ბევრად მეტი შეგვიძლია და მოვუმატებთ კიდეც.“

„ვიჩენცას“ კარში პირველი გოლის ავტორმა დავიდ ტრეზეგემ ცოტა ხნის წინ აღნიშნა, „იუვეში“ დარჩენა მაიძულესო. ამბობენ, იგი და მაურო ხერმან კამორანეზი „ბებერ ქალბატონს“ პირველი შესაძლებლობისთანავე დატოვებენო, მაგრამ დეშანი ამაზე კომენტარს არ აკეთებს.

„ტრეზეგე ყოველთვის ბრწყინვალე ფორვარდი იყო და ახლაც ასეთია. იმედია, სეზონს ჩვეული შედეგიანობით ჩაატარებს და გუნდს დაეხმარება. კამორანეზი კი ჯერ ფორმაში არ არის და ამიტომაც ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში“ — განაცხადა ფრანგმა.

გიორგი კაკაბაძე

ფერის გამო

გერმანია რასისტებს ქულებით დაემუქრა

ჯერალდ ასამოა

გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია წუხს, რომ ქვეყანაში რასიზმის პრობლემა კვლავ მოუგვარებელია, რაც ერთი კვირის წინ სათასო მატჩებშიც გამოჩნდა. როსტოკში, სადაც გელზენკირხენის „შალკე“ „ჰანზას“ ესტუმრა და 9:1 მოუგო, მასპინძელთა ფანებმა კი შალკელი ჯერალდ ასამოას კანის ფერს დასცინეს. მეორე ბუნდესლიგის კლუბი „ჰანზა“ ფედერაციამ ამის გამო გუშინ 20 ათასი ევროთი დააჯარიმა და როსტოკელები მომდევნო სათასო მატჩს უმაყურებლოდ ითამაშებენ.

გასულ შაბათს კი კიდევ ერთ სტადიონზე მოხდა მსგავსი რამ. „ალემანია“ — „გლადბახის“ შეხვედრაში, რომელიც მასპინძლებმა 4:2 მოიგეს, სტუმართა ბრაზილიელი ფორვარდი კაჰე „ალემანიას“ ფანებმა შეურაცხყვეს. სტადიონის დიქტორმა გააფრთხილა ქომაგები, რომ რასისტულ გამოხდომებს თუ არ შეწყვეტდნენ, მსაჯი თამაშს შეაჩერებდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაშოშმინდნენ ალემანიელი რასისტები.

ფედერაციის პრეზიდენტმა თეო ცვანციგერმა განაცხადა, რომ ამ ფაქტების გამეორების შემთხვევაში მხოლოდ ფულად ჯარიმას და ცარიელ ტრიბუნებს არ დასჯერდება. ვაი-ქომაგების საქციელის გამო კლუბებს ქულებს დავაკლებთ, ამიტომ სანამ დროა, თავ-თავის სტადიონზე პრობლემა ყველამ მოაგვაროსო.

გიორგი დარჯანია

მძვსკვირიანი წვიმა

ინგლისის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი „არმინიასთან“ მატჩის 23-ე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი გახდა. როგორც შემდეგ გაირკვა, 25 წლის ინგლისელს მარცხენა ფეხის წვივი გაუტეხია და სულ მცირე, ექვსი კვირით დააკლდა გუნდს. ჰარგრივსის გასვლამდე მიუნხენელები 1:0-ს იგებდნენ, მერე კი აწყობილი „ბაიერნი“ აირია და სეზონში პირველი მარცხი „არმინიასგან“ იგემა.

„ჰარგრივსი ძალიან დაგვაკლდება — განაცხადა ფელიქს მაგათმა — რადგან სეზონი კარგად დაიწყო და გუნდის ლიდერი გახლდათ. უმისოდ ბუნდესლიგაშიც გაგვიჭირდება და ჩემპიონთა ლიგაშიც“. ტრავმირებულმა კი თქვა: „ფეხბურთში ასეთი რამ ხდება, მაგრამ დასანანია, რომ ეს სწორედ მაშინ შემემთხვა, როცა საუკეთესო ფორმაში ვიყავი.“

„ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი: „ჰარგრივსი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და ვშიშობ, ამ ტრავმამ გუნდს დაღი არ დაასვას, თუმც სხვა მაღალი კლასის ფეხბურთელებიც გვყავს და ამ დანაკლისს ისინი შეავსებენ. ბალაკის წასვლის შემდეგ მედია სულ ჩვენი ნახევარდაცვის სისუსტეზე ლაპარაკობს, მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე.“

ოუენ ჰარგრივსი, ცხადია, ინგლისის ნაკრებსაც ვერ დაეხმარება, ევრო 2008-ის შესარჩევ ორ მომდევნო მატჩს გამოტოვებს. ინგლისელები 7 ოქტომბერს მაკედონიას მასპინძლობენ, 11-ში კი ხორვატებს ესტუმრებიან.

შეგახსენებთ, რომ ჰარგრივსის ყიდვა „მანჩესტერ იუნაიტედს“ უნდოდა და თვითონ ფეხბურთელსაც ძალიან სურდა პრემიერლიგის კლუბში გადასვლა, მაგრამ „ბაიერნმა“ არ გაუშვა. ამბობენ, მანჩესტერელები ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას კიდევ ერთხელ ეცდებიან „ბაიერნთან“ მოლაპარაკებასო.

ირაკლი ნინიძე

ოლივერ კანი შინაური ცხოველია

მიუნხენის „ბაიერნის“ ბაზაზე არის რესტორანი, მენიუში კი კერძების დასახელებას თან ახლავს ფეხბურთელთა მაგარ-მაგარი ნათქვამები.

მეჰმეთ შოლი: „ცოლთან არასოდეს მიჩხუბია გარდა ერთი შემთხვევისა, როცა მასაც სურდა საქორწინო ფოტოზე მოხვედრა“.

კრისტიან ციგე: „მე ვარ დაცვის ცენტრში მოთამაშე მარცხენა შუა შემტევი ნახევარმცველი.“

ფრანც ბეკენბაუერი: „ამ მატჩში ანგარიში აღარ შეიცვლება, თუკი ვინმემ არ გაიტანა.“

მეჰმეთ შოლი: „შვებულებას საზრეთში გავატარებ. მაგალითად, კანადაში, ან სხვაგან სადმე.“

ზეპ მაიერი ბეკენბაუერზე: „საშინლად ზარმაცობდა და სხვებს უწევდა მის მაგივრად სირბილი. უპირველეს ყოვლისა კი უნდა აღინიშნოს მისი გენიალური ავტოგოლები.“

პაულ ბრაიტნერი (30-ე წუთზე „ბაიერნი“ 0:3-ს აგებს) არბიტრს: „დაამთავრე, ეს თამაში არ მომწონს!“

სებასტიან დაისლერი გერმანიის ნაკრებში სადებიუტო მატჩის შემდეგ: „ვიმედოვნებ, რომ ეს ჩემი ბოლო დებიუტი არ იქნება.“

ოლივერ კანი: „სახლში მხოლოდ ერთი ცხოველი გვყავს. მას ოლივერ კანი ჰქვია.“

აფრიკა ევროპაში დაფრინავს

ინგლისური პრემიერლიგის სამ მთავარ შეხვედრაში გოლები აფრიკელებმა გაიტანეს და კიდევ სამ დიდ ევროპულ ლიგაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და გერმანიაში ითამაშეს გასულ უქმეებზე დიდი როლი.

ყველაზე დრამატული და მასშტაბური, ცხადია, ტოგოელი თავდამსხმელის ემანუელ ადებაიორის მიერ „ოლდ ტრეფორდზე", „არსენალის" გასახარად და „მანჩესტერ იუნაიტედის" დასამწუხრებლად გატანილი გოლი გახლდათ. ეს გოლი 85-ე წუთზე გავიდა და ამ შეხვედრაში ერთადერთი გამოდგა. სწორედ ადებაიორის ამ გოლით მოიგო „არსენალმა" სეზონში პირველად, ხოლო „მანჩესტერი" სეზონში პირველად დამარცხდა.

ყველაზე ლამაზი გოლი „ჩელსის" სპილოს ძვლის ნაპირელმა ფორვარდმა დიდიე დროგბამ გაუტანა „სტემფორდ ბრიჯზე" „ლივერპულს". მარცხენა ფეხით შესრულებულ ამ ეფექტურ დარტყმას დროგბას მეოთხე წარმატება მოჰყვა მიმდინარე სეზონში, ხოლო რაც შეეხება კონგოელ ლომანა ლუა ლუას, იგი „პორტსმუთის" შემადგენლობაში სათადარიგოთა სკამიდან გვიან ჩაერთო და „ჩარლტონ ატლეტიკის" კარში შეხვედრის ერთადერთი გოლი შეაგდო.

„ნიუკასლ იუნაიტედის" „ვესტ ჰემთან" 2:0 გამარჯვებას, ინგლისში, ზემოთ ჩამოთვლილ სამ მატჩთან შედარებით მაინცდამაინც დიდ მოვლენად არავინ მიიჩნევს, მაგრამ ნიგერიელი ობაფემი მარტინისისთვის ეს გახლდათ ის მატჩი, რომელშიც მან პირველი პრემიერლიგური გოლი შეაგდო. რაც შეეხება სამხრეთაფრიკელ ბენი მაკარტის გოლს „მანჩესტერ სიტის" კარში, ის „ბლეჭბერნის" ოთხი და მანჩესტერელთა ორი გოლიდან ერთ-ერთი და არაფრით გამორჩეული გახლდათ.

ესპანეთში მალელმა ფრედერიკ კანუტმა „სევილიას" მიერ „ბეტისის" 3:2 ძლევაში ორგოლიანი წვლილი შეიტანა. შედეგად, „ტოტენჰემისა" და „ვესტ ჰემის" ყოფილი ფორვარდის გუნდი პრიმერადივიზიონში ასპროცენტიანი შედეგით მიდის.

კამერუნელი სამუელ ეტოოს „ბარსელონაც" სამი თამაშიდან სამი გამარჯვებით მიდის და თავად ეტოომაც „რასინგს" გაუტანა — კატალონიელთა სამი გოლიდან ერთი მისი გახლდათ.

ესპანურ ტურში თამაშის დაწყებიდან ყველაზე მალე ეტოოს თანამემამულემ პიერ ვებომ გაიტანა. მისმა „ოსასუნამ" „ხიმნასტიკ ტარაგონას" 2:0 მოუგო, ვებომ კი ანგარიში პირველსავე წუთზე გახსნა.

გერმანიაში ეგვიპტელმა მოჰამედ ზიდანმა დააწინაურა „ვერდერი" „შტუტგარტთან" შეხვედრაში. შემდეგ ბრემენელებმა მეორე გოლიც გაიტანეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ 2:3.

იგივე ბედი ეწია მაროკოელ მცველს აჰმედ მადუნისა და მის „ლევერკუზენს", რომელმაც „აინტრახტთან" ანგარიშის გახსნის მიუხედავად 1:3 წააგო.

საფრანგეთში სიერა ლეონელმა მოჰამედ კალონმა „მონაკო" „პარი სენ ჟერმენთან" შეხვედრაში დააწინაურა, თუმცა საბოლოოდ პარიზელებმა მოიგეს 2:1. სხვათა შორის, „პარი სენ ჟერმენს" მონაკოში აგერ უკვე 21 წელიწადია არ მოეგო. საფრანგეთში გაიტანეს მაროკოელმა მარუან შამახმა, ნიგერიელმა ტაიე ტაივომ, კამერუნელმა ახილ ემანამ, ალჟირელმა ნადირ ბელჰაჯიმ და გვინეელმა ისმაელ ბანგურამ.

პაპუნა კედია

მაიკლ ოუენი: ბობი ჩარლტონს დავამხობ!

მაიკლ ოუენმა განაცხადა, რომ მუხლის ტრავმა, უბრალოდ პაუზაა მის კარიერაში და, რომ 2007 წლიდან საუკეთესო ფორმაში დაუბრუნდება მინდორს.

ამის შესახებ, ტრავმებით ტანჯულმა „ნიუკასლის" ფეხბურთელმა გაზეთ „ტაიმსში" დაწერა:

„მე მყარად ვგრძნობ თავს, უკეთ, ვიდრე მეგონა. ახლა ისეთივე ამბიციური ვარ, როგორც იმ დღეს, როცა შვედებთან მატჩში, მსოფლიოს ჩემპიონატზე. ისინი, ვისაც სჯერა რომ მე სერ ბობი ჩარლტონის სანაკრებო რეკორდს დავამხობ, მშვიდად უნდა იყვნენ, ამას ნამდვილად ვაპირებ."

ჩარლტონს 106 ჯერ უთამაშია ინგლისის ნაკრებში და 49 გოლი გაუტანია. მას მოსდევენ გარი ლინეკერი 48 გოლით და ჯიმი გრივსი 44 გოლით.

ოუენს 80-ჯერ უთამაშია ნაკრებში და 36 ბურთი აქვს გატანილი.

დამშეული მაიკლი პრემიერლიგის ხელახალ დაპყრობასაც აპირებს.

„რატომ არ უნდა გავიტანო სეზონში 30 საკლუბო გოლი? რუუდ ვან ნისტელროის მთელი წელიწადი გაუცდა, მაგრამ არავის უთქვამს, გოლებს ვეღარ გაიტანსო. ტრავმა ცუდია, მაგრამ ის არასოდეს მომერევა."

ირაკლი გამყრელიძე

უკრავს და ცეკვავს პეტერ შმეიხელი

ლეგენდარული დანიელი მეკარე პეტერ შმეიხელი ბრიტანულ ტელეპროექტში მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც „ვარსკვლავური ცეკვები" ჰქვია და ოქტომბერში დაიწყება. 43 წლის შმეიხელის გარდა ამ პროექტში შოუ-ბიზნესის ბევრი ვარსკვლავი გამოვა. როგორც ამბობენ, სკანდინავიელის მეწყვილე ცნობილი პოპ-ჯგუფ „სფაის გერლზის" წევრი ემა ბანტონი იქნება. შეგახსენებთ, რომ ინგლისელი ნახევარმცველისა და „მანჩესტერ იუნაიტედში" შმეიხელის ექსთანაგუნდელის, დევიდ ბექემის მეუღლე ასევე „სფაის გერლზის" ყოფილი წევრი ვიქტორია ადამსია.

შმეიხელი ამ კონკურსს სრული სერიოზულობით ეკიდება და მის მოგებას აპირებს. ცეკვის გარდა მას მუსიკაც იტაცებს და ბრწყინვალედ უკრავს პიანინოზე. დანიელს ორი კომპაქტ-დისკიც აქვს ჩაწერილი.

„ფეხბურთში გამარჯვებას მივეჩვიე და მინდა, ცეკვაშიც პირველი ვიყო" — განაცხადა 1992 წლის ევროპის ჩემპიონმა, 1998-99 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა, ინგლისის მრავალგზის ჩემპიონმა და სხვა არაერთი ჯილდოს მფლობელმა შმეიხელმა.

კოკი კანდელაკი

ტვინის შერყევა

კვირა საღამოს, „აპტონ პარკზე" მოგებული მატჩის შემდეგ საავადმყოფოში გააქანეს „ნიუკასლის" მეკარე შეი გივენი. ის თამაშის 84-ე წუთზე, ვესტჰემელ მარლონ ჰარვუდთან საშინელი შეჯახების შემდეგ დაშავდა.

გივენმა თამაში ნორმალურად ჩამთავრა და მის შემდეგაც 15 წუთს კარგად იყო, მაგრამ მოულოდნელად გონება დაკარგა. „ნიუკასლის" მთელი შემადგენლობა მთელ საათს სტადიონის მედპუნქტის კართან იცდიდა, რათა ექიმთა პასუხი შეეტყო. ბოლოს ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ავადმყოფის ტრანსპორტირება უხიფათო იყო და საავადმყოფოში გააქანეს. მეკარეს ტვინის შერყევა აქვს და ღამით ლონდონში დატოვეს.

ირაკლი გამყრელიძე

კაპელოს რეალი დაჭკვიანდა

ხოსე ანტონიო რეიესი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უკეთეს დებიუტს ვერ ინატრებდა. 23 წლის ნახევარმცველმა „სოსიედადთან“ მატჩის 69-ე წუთზე ლამაზი ჯარიმა შეაგდო, რასაც შეხვედრის მიწურულს მის ნაცვლად მინდორზე შესულმა დევიდ ბექემმა მეორე გოლი მიაყოლა და გასულ კვირაში „ლიონთან“ „ჟერლანზე“ შერცხვენილმა „რეალმა“ პრიმერადივიზიონში მორიგი სამი ქულა მიითვალა.

„მეტს ვერავინ ვერაფერს მომთხოვდა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩემს სადებიუტო მატჩში გოლი გავიტანე და მოვიგეთ. ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღე იყო. „სოსიედადი“ მინდორზე“ 11 კაცით კარში ჩასადგომად გამოვიდა, ასეთ გუნდებთან თამაში კი ყოველთვის ძნელია. ყველა თვლის, რომ „რეალთან“ გასვლით მატჩში ფრე მისაღები შედეგია, რაც ამოცანას გვირთულებს ხოლმე, თუმცა ხასიათი გამოვაჩინეთ, ბოლომდე ვიბრძოლეთ და მივაღწიეთ კიდეც მიზანს“ — თქვა რეიესმა.

არადამაჯერებელი თამაშისა და შედეგების გამო „რეალს“ კრიტიკა არ აკლია, თუმცა მადრიდელთა ძველ-ახალი მწვრთნელი ფაბიო კაპელო თვლის, რომ მისი გუნდი სწორ გზაზეა.

„ჩვენ განსხვავებული „რეალი“ ვიხილეთ. უფრო შემართული და ჭკვიანურად მოთამაშე. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოჩნდა, რადგან პირველ ნახევარში „სოსიედადმა“ საკმაო პრობლემები შეგვიქმნა. ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილზე დგება, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს. რეიესის თამაშით კმაყოფილი ვარ. ის საჭირო ფეხბურთელია, ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში და ბევრს მუშაობს“ — აღნიშნა კაპელომ.

კმაყოფილია „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონიც: „ფანები მოუთმენელნი არიან, მათ მოგება და ლამაზი თამაში უნდათ, რაც ბუნებრივია. თუმცა გუნდს, რომელიც ახლიდან ეწყობა, 35 დღეზე მეტი სჭირდება, რათა შეთამაშდეს. ქომაგებს ვთხოვ, ცოტა ხანი დაიცადონ და მათი სურვილი რეალობად იქცევა. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. კაპელომ თავისი საქმე იცის და მას ბოლომდე ვენდობი. უფრო მომთმენები უნდა ვიყოთ, მით უმეტეს, იმ საშინელი სამი სეზონის მერე. ფაბიო მეუბნება, რომ გუნდს ჯერ ტემპი აკლია და უფრო სწრაფად უნდა ავთამაშდეთ, მაგრამ არ ვნერვიულობთ, ამის საფუძველი არც გვაქვს“.

ლამუში გაუშვეს

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი საბრი ლამუში „მარსელიდან“ წავიდა. მიზეზი: ლამუში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება.

გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე „მარსელის“ პრეზიდენტმა პაპე დიუფმა ჟურნალისტებს უამბო, რომ 34 წლის ფეხბურთელმა მას განთავისუფლება სთხოვა. წესით, ლამუში „მარსელში“ 2007 წლამდე უნდა დარჩენილიყო.

„თუ სწორედ გავუგე, ის რთულ მდგომარეობაშია, რადგან გუნდში არსებულ კონკურენციას ვერ აუდის“ — თქვა დიუფმა და დასძინა, რომ ფეხბურთელის გადაწყვეტილებამ ის მაინც გააოცა.

ლამუში „ოსერისა“ და „მონაკოს“ შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, სამფეროვანთა ნაკრებში კი 12 შეხვედრა ჩაატარა. მას უთამაშია იტალიაშიც, კერძოდ „პარმაში“, „ინტერსა“ და „ჯენოაში“.

პაპუნა კედია

რონალდინიოს ტყუპისცალი

ბრაზილიელი ანდერსონ ლუის დე აბრეუ ოლივეირა ლონდონის „ჩელსის“ სამიზნეა. 18 წლის ანდერსონს ახალ რონალდინიოს ეძახიან. მას რამდენიმე გრანდი უტრიალებს, მათ შორის, კატალონიური „ბარსელონაც“, რომელმაც ადრე გაავრცელა ინფორმაცია, ფეხბურთელთან შეთანხმება უკვე თითქმის მიღწეულიაო. ბრაზილიელმა ეს უარყო და „ჩელსის“ მიანიშნა, „სტემფორდ ბრიჯზეც“ სიამოვნებით ვითამაშებდიო.

ბრაზილიელი ვუნდერკინდი ამჟამად „პორტუს“ ღირსებას იცავს და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. გასულ კვირაში „პორტუსა“ და ცსკა-ს საჩემპიონთალიგო მატჩს „ჩელსის“ მთავარი სკაუტი ფრანკ არნესენი დაესწრო და ანდერსონის თამაშით კმაყოფილიც დარჩა. ლონდონელები მას წელიწადნახევარია აკვირდებიან და სურთ, ტრანსფერი იანვარში ან მომავალ ზაფხულს გაჩარხონ.

„ამ მომენტში მხოლოდ „პორტუ“ მაინტერესებს. მინდა, გუნდს ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულ თამაშში დავეხმარო. ჯერჯერობით ჩემთან შესაძლო ტრანსფერზე მოლაპარაკება არავის ჰქონია, თუმცა ტყუილი იქნება, თუ ვიტყვი, რომ რომელიმე ევროპულ გრანდში თამაში არ მინდა. „პორტუ“ დიდი კლუბია, მაგრამ ყველა ფეხბურთელი ოცნებობს ისეთ გუნდში გადასვლაზე, როგორიც „ჩელსი“ ან „ბარსელონაა“ — განაცხადა ანდერსონმა.

ძოძი ძანდელაძი

დაუკვირდი და გადააყენე

ბრაიან რობსონი „ვესტ ბრომოვიჩ ალბიონის“ მენეჯერობიდან გადააყენეს.

კლუბმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც გუნდის შედეგებს დაუკვირდა.

კლუბის თავმჯდომარემ ჯერემი პირსმა თქვა, რომ 2006 წლის გაზაფხულიდან გუნდის თამაში უარესდება, რასაც მათი პრემიერლიგიდან გავარდნა მოჰყვა. რობსონი 2004 წლიდან იყო „ვესტ ბრომის“ მენეჯერი და კლუბი უძლიერესთა შორის დააბრუნა, თუმცა, იქ ფეხი ვერ მოაკიდებინა.

ახლა გუნდი მეცხრე ადგილზეა ცხრილში და რახან პრიორიტეტად პრემიერლიგაში დაბრუნება აქვს, უფროსობას მისი თამაში არ აკმაყოფილებს.

რობსონის ადგილი დროებით, მისმა თანაშემწემ ნაიჯელ პირსონმა დაიკავა.

ირაკლი გამყრელიძე

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); “აისი” (აღმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		20 სექტემბერი						
23:00	1	ლივერპული-ნიუკასლი	1.50	3.80	6.00	1.07	1.20	2.32
		ინგლისი. კონფერენსი						
		19 სექტემბერი						
22:45	53	ბარტონი-კემბრიჯი	1.80	3.40	3.90	1.17	1.23	1.81
22:45	54	ექსეტერი-სტ.ალბანსი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
22:45	55	ფორესტ გრინი-ალტრინჰემი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
22:45	56	გრეისი-ალდერშოტი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
22:45	57	ჰალიფაქსი-დაგ ენდ რედი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
22:45	58	კიდერმინსტერი-საუთპორტი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
22:45	59	მორიკომბი-ტემუორთი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
22:45	60	ნორთვიჩი-სტ.რეინჯერსი	2.20	3.30	2.85	1.32	1.24	1.52
22:45	61	რაშდენი -გრეივსენდი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
22:45	62	სტივენეიჯი-ვეიმუთი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
22:45	63	უოკინგი-იორკი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
		ავსტრია. I დივიზიონი						
		19 სექტემბერი						
21:00	147	ადმირა-აუსტრია(მ)	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
21:00	148	გრატკორნი-პარნდორფი	1.60	3.30	5.20	1.07	1.22	2.01
21:00	149	კაფენბერგი-ლეობენი	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
21:00	150	კერნტენი-ჰარტბერგი	1.40	3.60	7.70	1.00	1.18	2.45
21:00	151	ლუსტენაუ-ლინცერი	4.00	3.20	1.80	1.77	1.24	1.15
21:00	152	შვანენშტადტი-აუსტრია(ლ)	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
		იტალია. სერია A						
		20 სექტემბერი						
22:30	176	ატალანტა-ემპოლი	2.00	3.00	3.80	1.20	1.31	1.67
22:30	177	კალიარი-ლივორნო	2.10	3.00	3.55	1.23	1.31	1.62
22:30	178	კიევო-ლაციო	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44
22:30	179	ფიორენტინა-პარმა	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
22:30	180	მესინა-რეჯინა	1.85	3.10	4.35	1.15	1.29	1.81
22:30	181	მილანი-ასკოლი	1.15	5.80	16.00	1.00	1.07	4.25
22:30	182	პალერმო-კატანია	1.55	3.50	6.20	1.07	1.24	2.23
22:30	183	რომა-ინტერი	2.50	3.00	2.80	1.36	1.32	1.44
22:30	184	სამპდორია-უდინეზე	2.00	3.10	3.60	1.21	1.28	1.66
22:30	185	ტორინო-სიენა	1.95	3.00	4.10	1.18	1.32	1.73
		იტალია. სერია B						
		19 სექტემბერი						
22:30	199	არეცო-ნაპოლი	3.20	2.70	2.30	1.46	1.33	1.24
22:30	200	ბრეშა-ტრევიზო	1.75	2.90	4.90	1.09	1.28	1.82
22:30	201	კროტონე-იუვენტუსი	7.80	3.70	1.40	2.50	1.18	1.01
22:30	202	ლეჩე-მანტოვა	2.00	2.90	3.70	1.18	1.29	1.62
22:30	203	მოდენა-ჯენოა	2.65	2.70	2.70	1.33	1.33	1.35
22:30	204	პესკარა-ბარი	2.30	2.70	3.20	1.24	1.33	1.46
22:30	205	პიაჩენცა-ბოლონია	2.45	2.70	2.90	1.28	1.32	1.39
22:30	206	რიმინი-ფროზინონე	1.70	3.00	5.00	1.08	1.26	1.87
22:30	208	ტრიესტინა-ალბინოლეფე	1.65	3.00	5.30	1.06	1.25	1.91
		20 სექტემბერი						
23:00	207	სპეცია-ვერონა	2.30	2.70	3.20	1.24	1.33	1.46
21:00	209	ვიჩენცა-ჩეზენა	2.40	2.70	3.00	1.27	1.33	1.42
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		19 სექტემბერი						
23:30	327	სეტუბალი-ბოავიშტა	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
		სლოვაკეთი						
		19 სექტემბერი						
17:00	392	ინტერი-სლოვანი	2.65	2.70	2.60	1.33	1.31	1.32
21:00	395	ტრენჩინი-კოშიცე	2.25	3.00	3.00	1.28	1.28	1.50
21:00	396	ტრნავა-დუბნიცა	2.00	3.10	3.40	1.21	1.25	1.62
		20 სექტემბერი						
17:00	393	პეტრუალკა-სინეცი	1.55	3.60	5.20	1.08	1.19	2.12
22:00	394	ბ.ბისტრიცა-ნიტრა	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22:00	397	ჟილინა-რუჟომბეროკი	2.00	3.10	3.35	1.21	1.25	1.61

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერეტა						
		20 სექტემბერი						
21:00	460	ტრელებორგი-დეგერფორსი	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
		ინგლისი. თასი						
		19 სექტემბერი						
22:45	545	ბარნსლი-დონსი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
22:45	546	ბირმინგემი-რექსემი	1.25	4.70	9.00	1.00	1.09	3.08
22:45	547	ბრენტფორდი-ლუტონი	2.60	3.30	2.40	1.45	1.24	1.38
23:00	548	ჩარლტონი-კარლაილი	1.30	4.40	8.50	1.00	1.12	2.89
22:45	550	ქრიუ-უიგანი	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
22:45	553	ჰერეფორდი-ლესტერი	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
22:45	554	ჰალი-ჰარტლპული	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
22:45	555	ლიდსი-ბარნეტი	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
22:45	556	მენსფილდი-პორტსმუთი	6.20	3.70	1.45	2.31	1.17	1.04
22:45	558	მილუოლი-საუთჰემპტონი	3.80	3.20	1.85	1.73	1.24	1.17
22:45	559	პიტერბრო-ეევერტონი	6.50	3.70	1.45	2.35	1.18	1.04
22:45	560	პორტ ვეილი-ქარ	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
23:00	561	რედინგი-დარლინგტონი	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
22:45	562	როტერჰემი-ნორვიჩი	3.40	3.30	1.95	1.67	1.23	1.22
22:45	564	შეფილდი-ბერი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
22:45	565	საუთენდი-ბრაიტონი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
22:45	566	უოლსოლი-ბოლტონი	4.50	3.50	1.60	1.96	1.18	1.09
22:45	567	უოტფორდი-აკრინგტონი	1.25	5.00	8.50	1.00	1.08	3.14
22:45	568	ვესტ ბრომვიჩი-ჩელტენემი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
		20 სექტემბერი						
22:45	549	ჩესტერფილდი-სიტი	5.00	3.40	1.65	2.02	1.24	1.11
22:45	551	დონკასტერი-დერბი	2.70	3.30	2.30	1.48	1.24	1.35
22:45	552	ფულემი-უიკომბი	1.35	4.00	8.00	1.00	1.15	2.66
23:00	557	მიდლსბრო-ნოტსი	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
22:45	563	სკანთორპი-ასტონ ვილა	6.00	3.40	1.50	2.17	1.20	1.04
		შოტლანდია. თასი						
		19 სექტემბერი						
22:45	570	სელტიკი-სტ.მირენი	1.20	5.30	11.00	1.00	1.08	3.57
22:45	573	ინვერნესი-ფოლკირკი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
22:45	574	კილმარნოკი-ლივინგსტონი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
22:45	576	სტ.ჯონსტონი-დანდი იუნაიტედი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
		20 სექტემბერი						
22:45	569	ალოა-ჰართსი	9.50	5.50	1.20	3.48	1.06	1.00
22:45	571	დანფერმლაინი-რეინჯერსი	9.00	3.80	1.35	2.67	1.17	1.00
22:45	572	ჰიბერნიანი-გრეტნა	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
22:45	575	ქუინზ პარკი-მოზერუელი	8.00	4.30	1.30	2.79	1.11	1.00
		საფრანგეთი. თასი						
		19 სექტემბერი						
21:30	597	ისტრი-ლილი	4.50	3.20	1.70	1.87	1.23	1.11
22:00	598	დიუონი-ამიენი	1.85	3.00	4.30	1.14	1.29	1.76
22:00	599	რეიმსი-კლერმონი	1.55	3.30	5.70	1.05	1.21	2.08
23:00	600	ნანტი-ტულუზი	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
		20 სექტემბერი						
22:00	602	კრეტეი-ლანსი	4.70	3.00	1.80	1.83	1.30	1.12
23:00	609	რენი-ლიბურნი	1.40	3.80	8.00	1.02	1.19	2.57
		ჰოლანდია. თასი						
		19 სექტემბერი						
22:00	611	გრააფსხაპი-ვენლო	2.00.	3.10	3.45	1.21	1.26	1.63
22:15	612	უტრეხტი-აპელდორნი	1.30	4.50	7.60	1.00	1.11	2.82
22:00	613	ეინდჰოვენი-ჰერაკლესი	5.20	3.50	1.55	2.09	1.19	1.07
22:00	614	ემენი-ზვოლე	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
22:00	615	როზენდალი-ჰელმონდი	1.50	3.60	5.60	1.05	1.18	2.19
		რუსეთი. თასი						
		19 სექტემბერი						
16:00	620	ტორპედო-ფაკელი	1.20	5.30	10.00	1.00	1.07	3.46
		20 სექტემბერი						
16:00	621	როსტოვი-ხიმკი	1.65	3.60	4.20	1.13	1.18	1.93

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:00	622	შინიკი-დინამო ბრ	1.50	3.80	5.00	1.07	1.15	2.15
16:00	623	მორდოვია-ცსკა მ	6.20	3.70	1.45	2.31	1.17	1.04
16:00	624	ყუბანი-კრილია	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
16:00	625	მოსკოვი-ტერეკი	1.30	4.20	9.00	1.00	1.13	2.86
16:00	626	ანგუშტი-ამკარი	6.00	3.80	1.45	2.32	1.16	1.04
16:00	627	ანჟი-ლოკომოტივი	5.20	3.50	1.55	2.09	1.19	1.07
12:00	628	ენერგია-დინამო მახა	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00
16:00	629	დინამო მ-სპარტაკი ნ.ნ.	1.20	5.20	11.00	1.00	1.08	3.53
16:00	630	ტომსკი-დინამო კიროვი	1.10	7.00	13.00	1.00	1.01	4.55
16:00	631	სპარტაკი მ-ურალი	1.20	5.30	9.50	1.00	1.06	3.40
16:00	632	სიბირი-ნალჩიკი	2.70	2.90	2.45	1.39	1.28	1.32
16:00	633	ზენიტი-ჩიტა	1.10	7.00	15.00	1.00	1.02	4.77
14:30	634	მეტალურგი კრ-სატურნი	4.50	3.60	1.60	2.00	1.18	1.10
		ნორვეგია. თასი						
		20 სექტემბერი						
21:00	645	ფრედრიკსტადი-სტარტი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		21 სექტემბერი						
21:00	646	რუსენბორგი-სანდეფიორდი	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00
		ფინეთი. თასი						
		20 სექტემბერი						
19:30	647	ჰიკ-ლაჰტი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
		ჰოკეი. შვედეთი						
		19 სექტემბერი						
21:00	703	იურგორდენი-მორა	1.80	4.20	2.80	1.25	1.09	1.67
21:00	704	ჰვ 71-მალმიო	1.45	4.50	4.00	1.09	1.06	2.11
21:00	705	ტიმრე-მოდო	2.00	4.20	2.30	1.35	1.06	1.48
		ჰოკეი. ფინეთი						
		19 სექტემბერი						
19:30	719	ლუკო-ესპოო	2.15	4.00	2.20	1.39	1.08	1.41
19:30	721	ილვესი-იოკერიტი	2.20	4.00	2.10	1.41	1.07	1.37
19:30	722	ჰელსინკი-კალპა	1.40	4.30	4.50	1.05	1.06	2.19
19:30	723	კერპეტი-სეიპა	1.35	4.40	4.50	1.03	1.03	2.22

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:30	724	ტურკუ-ტაპარა	1.90	4.20	2.50	1.30	1.07	1.56
19:30	725	იუვესკულე-ესეტი	2.00	4.10	2.30	1.34	1.06	1.47
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		19 სექტემბერი						
19:00	740	ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი	2.00	4.00	2.50	1.33	1.11	1.53
19:00	741	ვსეტინი-ბუდეიოვიცე	2.40	4.00	2.00	1.50	1.09	1.33
19:30	742	ზნოიმო-ლიბერეცი	2.10	4.00	2.30	1.37	1.09	1.46
19:30	743	კლადნო-ზლინი	2.30	4.00	2.10	1.46	1.09	1.37
19:30	744	ლიტვინოვი-პლზენი	2.00	4.00	2.50	1.33	1.11	1.53
20:00	745	სპარტა-პარდუბიცე	2.05	4.10	2.30	1.36	1.08	1.47
21:00	746	სლავია-ტრჟინეცი	1.50	4.40	3.85	1.11	1.07	2.05
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		19 სექტემბერი						
19:00	761	სკალიცა-სლოვანი	2.60	4.00	1.80	1.57	1.06	1.24
19:30	763	კოშიცე-პოპრადი	1.70	4.10	3.00	1.20	1.08	1.73
19:30	764	მარტინი-ჟილინა	2.10	4.00	2.30	1.37	1.09	1.46
19:30	765	ნიტრა-მიკულაში	1.45	4.20	3.80	1.07	1.04	1.99
		ჰოკეი. გერმანია						
		19 სექტემბერი						
21:30	776	კიოლნი-აუგსბურგი	1.40	4.60	4.50	1.07	1.06	2.27
		ჰოკეი. შვეიცარია						
		19 სექტემბერი						
21:45	792	ცუგი-რაპერსვილი	1.95	4.10	2.30	1.32	1.05	1.47
		ჰოკეი. რუსეთი						
		19 სექტემბერი						
16:30	806	მაგნიტოგორსკი-ნეფტეხიმიკი	1.40	4.50	4.00	1.06	1.03	2.11
14:30	807	ნოვოკუზნეცკი-სევერსტალი	1.85	4.20	2.50	1.28	1.06	1.56
15:30	808	სიბირი-ასკ	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
16:30	809	ტრაქტორი-აკ ბარსი	4.50	4.40	1.40	2.22	1.06	1.06
17:30	810	ლადა-ხიმიკი	2.25	4.20	2.05	1.46	1.07	1.37
17:00	811	ს.იულაევი-ავანგარდი	2.30	4.20	2.05	1.48	1.08	1.37
19:00	812	კრილია-ლოკომოტივი	4.00	4.20	1.45	2.04	1.06	1.07

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10176	ატალანტა-ემპოლი	2.45	2.00	4.20	1.10	1.54	1.35
10177	კალიარი-ლივორნო	2.60	1.90	3.80	1.09	1.54	1.26
10178	კიევო-ლაციო	2.90	1.90	3.30	1.14	1.54	1.20
10179	ფიორენტინა-პარმა	1.80	2.30	6.50	1.00	1.40	1.69
10180	მესინა-რეჯინა	2.30	2.00	4.40	1.06	1.51	1.37
10181	მილანი-ასკოლი	1.30	3.30	11.00	1.00	1.16	2.53
10182	პალერმო-კატანია	1.90	2.20	6.30	1.01	1.45	1.63
10183	რომა-ინტერი	3.00	1.90	3.20	1.16	1.54	1.19
10184	სამპდორია-უდინეზე	2.50	1.90	4.00	1.07	1.53	1.28
10185	ტორინო-სიენა	2.35	1.90	4.40	1.05	1.53	1.32

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11176	ატალანტა-ემპოლი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11177	კალიარი-ლივორნო	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11178	კიევო-ლაციო	3.70	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11179	ფიორენტინა-პარმა	1.80	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11180	მესინა-რეჯინა	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11181	მილანი-ასკოლი	1.35	15.00	40.00	3.50	6.00	17.00	25.00	17.00	17.00
11182	პალერმო-კატანია	2.00	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11183	რომა-ინტერი	3.65	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	3.90
11184	სამპდორია-უდინეზე	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11185	ტორინო-სიენა	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		მეტ.	ნაკ.
12176	ატალანტა-ემპოლი	1.70	1.90
12177	კალიარი-ლივორნო	1.70	1.90
12178	კიევო-ლაციო	1.70	1.90
12179	ფიორენტინა-პარმა	1.70	1.90
12180	მესინა-რეჯინა	1.70	1.90
12181	მილანი-ასკოლი	2.20	1.50
12182	პალერმო-კატანია	1.90	1.70
12183	რომა-ინტერი	1.70	1.90
12184	სამპდორია-უდინეზე	1.70	1.90
12185	ტორინო-სიენა	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13176	ატალანტა-ემპოლი	1.70	1.90
13177	კალიარი-ლივორნო	1.70	1.90
13178	კიევო-ლაციო	1.70	1.90
13179	ფიორენტინა-პარმა	1.70	1.90
13180	მესინა-რეჯინა	1.70	1.90
13181	მილანი-ასკოლი	2.00	1.60
13182	პალერმო-კატანია	1.70	1.90
13183	რომა-ინტერი	1.60	2.00
13184	სამპდორია-უდინეზე	1.70	1.90
13185	ტორინო-სიენა	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესონი დაგებულად ჩაითვლება)

14176	ატალანტა-ემპოლი	1.65	2.20
14177	კალიარი-ლივორნო	1.70	2.10
14178	კიევო-ლაციო	1.80	1.90
14179	ფიორენტინა-პარმა	1.30	2.50
14180	მესინა-რეჯინა	1.60	2.30
14182	პალერმო-კატანია	1.30	2.50
14183	რომა-ინტერი	1.80	1.90
14184	სამპდორია-უდინეზე	1.65	2.20
14185	ტორინო-სიენა	1.60	2.40

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15176	ატალანტა-ემპოლი	3.00	2.80	2.00
15177	კალიარი-ლივორნო	3.00	2.80	2.00
15178	კიევო-ლაციო	3.00	2.80	2.00
15179	ფიორენტინა-პარმა	3.00	2.80	2.00
15180	მესინა-რეჯინა	3.00	2.80	2.00
15181	მილანი-ასკოლი	3.00	2.80	2.00
15182	პალერმო-კატანია	3.00	2.80	2.00
15183	რომა-ინტერი	3.00	2.80	2.00
15184	სამპდორია-უდინეზე	3.00	2.80	2.00
15185	ტორინო-სიენა	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16176	ატალანტა-ემპოლი	1.35	2.55
16177	კალიარი-ლივორნო	1.50	2.10
16178	კიევო-ლაციო	1.60	1.90
16179	ფიორენტინა-პარმა	1.12	4.30
16180	მესინა-რეჯინა	1.40	2.40
16182	პალერმო-კატანია	1.15	4.00
16183	რომა-ინტერი	1.70	1.90
16184	სამპდორია-უდინეზე	1.50	2.15
16185	ტორინო-სიენა	1.30	2.70

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17176	ატალანტა-ემპოლი	1.85	1.95
17177	კალიარი-ლივორნო	1.85	1.95
17178	კიევო-ლაციო	1.85	1.95
17179	ფიორენტინა-პარმა	1.85	1.95
17180	მესინა-რეჯინა	1.85	1.95
17181	მილანი-ასკოლი	1.85	1.95
17182	პალერმო-კატანია	1.85	1.95
17183	რომა-ინტერი	1.85	1.95
17184	სამპდორია-უდინეზე	1.85	1.95
17185	ტორინო-სიენა	1.85	1.95

ცინცაძის ცინცხალი ამბები

როკი ბალტიის პირას გააჯაჯებს



გიორგი ცინცაძე ეროვნული ნაკრების შეკრებაზე იმყოფებოდა, აგვისტოს ბოლოს ესტონური ტარტუს „როკთან“ კონტრაქტი რომ გააფორმა. ბალტიელებმა ცინცაძეს ფაქსით გაუფორმეს ხელშეკრულება და როგორც საკუთარ ვებ-გვერდზე დაწერეს, ქართველი გამთამაშებლის შემატებით ძალიან კმაყოფილები იყვნენ. ცინცაძემ მისდამი კეთილგანწყობა ესტონელებთან შეხვედრის პირველი წუთიდანვე იგრძნო. მას როგორც გუნდის ლიდერს, ისე ეპყრობიან და სათანადო პატივშიც ჰყავთ. გიორგის თავის ახალ გუნდთან შესაერთებლად შორს ნასვლა არ დასჭირვებია — საქართველოს ეროვნული ნაკრები ფინეთს ჰელსინკში რომ ეთამაშა, „როკიც“ იქვე იყო შეკრებაზე და ცინცაძის არაოფიციალური დებიუტიც შედგა ესტონურ კლუბში. ტარტუში „როკი“ გუშინწინ დაბრუნდა და იქაური ამბების შესატყობად თავად ცინცაძეს შევეხმიანეთ...

— რას იტყვი, როგორი გუნდია „როკი“?

— ძალიან კარგ გარემოში აღმოვჩნდი — არ მეგონა, ასე თუ მიმიღებდნენ ტარტუელები. ისე შემხვდნენ, როგორც გუნდის ლიდერს. თქვენობით მელაპარაკებიან და ცოტა უხერხულობას ვგრძნობ. აქამდე საზღვარგარეთ სადაც მითამაშია, ყველგან მეორე პლანზე ვიყავი, აქ კი ისეა, რომ მთავარ იმედებს ჩემზე ამყარებენ. თავად გუნდიც ძალიან კარგია. ალბათ, ესტონეთში ერთ-ერთი საუკეთესოა. აქ თამაშობენ ესტონეთის საუკეთესო კალათბურთელები, რომლებიც ახლა ნაკრებში არიან და მალე შემოგვიერთდებიან.

— აკი „როკი“ ფინეთში შეკრებაზე იმყოფებოდა...

— მთლად შეკრებაც არ ერქვა — ამხანაგური მატჩების სათამაშოდ წავიდნენ ტარტუელები ფინეთში, ერთ-ერთმა იქაურმა გუნდმა მიიწვია და ყველანაირი ფინანსური ხარჯები მასპინძლებმა გაიღეს. მეც ფინეთში შევუერთდი „როკს“ და ორივე ამხანაგურ მატჩში ვითამაშე.

— როგორი შთაბეჭდილება მოახდინე?

— „როკი“ თითქმის მთლიანად ახალგაზრდული გუნდით იყო ფინეთში ჩასული. მხოლოდ მე და კიდევ ერთი მოთამაშე ვიყავით ძირითადი შემადგენლობიდან. სხვების ფონზე კარგად ვითამაშე, მაგრამ ძალიან სუსტი გუნდი იყო და რომ წავაგეთ, ეს ძალიან მეწყინა. ტარტუში რომ დავბრუნდით, რამდენიმე მოთამაშე კიდევ შეგვემატა, თუმც ნაკრების ხალხი ჯერაც გვაკლია.

— ესე იგი ცნობილი მარტინ მიუურსეპიც არ იყო თქვენთან...

— მიუურსეპი აქაა, მან ნაკრებისგან წლეულს დაისვენა, უარი თქვა თამაშზე. იგი დღეს დილას გავიცანი, როცა ფინეთიდან ჩამოსვლის შემდეგ პირველად ვივარჯიშე „როკში“.

— პირობებზე რას იტყვი?

— მანქანა ჯერ არ მოუციათ, მაგრამ ალბათ მომცემენ, რადგან ბაზა ჩემი სახლიდან მოშორებითაა. ბინა კი ცენტრალურ უბანში მომცეს. ჩემს კორპუსთან ძალიან ძვირფასი მანქანები დგანან — „ფერარი“, „ლამბორჯინი“, ბოლო გამოშვების „მერსედესები“. მე ჯერ ფეხით დავდივარ.

— წლეულს რა ამბიცია აქვთ ტარტუელებს?

— პირველ რიგში ესტონეთის ჩემპიონობა სურთ, თუმც პარალელურად კიდევ ორ ტურნირში გამოდიან და იქაც აქვთ გარკვეული ამბიციები. „როკი“ „ჩელენჯ ქაფზე“ და „ბალტიის ლიგაშიც“ ითამაშებს ამ სეზონში. ეს უკანასკნელი საკმაოდ სერიოზული შეჯიბრია. მთელი ბალტიისპირეთის ძლიერი გუნდები ამ ტურნირში ითამაშებენ — „ჟალგირისი“, „ლიეტუვოს რიტასი“, „შაულიაი“. აქ იქნება ასევე უკრაინული „ბკ კიევიც“, რომელშიც გიორგი მამაცაშვილი გადავიდა. იმიტომაც დავთანხმდი „როკში“ თამაშს, რომ „ბალტიის ლიგაში“ გამოდის.

— ესე იგი დიდ გამოცდილებას მიიღებ — სამ ტურნირში საკმაოდ ბევრი თამაში მოგიწევს...

— ცსკა-ში რომ ვიყო, ან მოსკოვის „დინამოში“, ვერ ვიტყოდი, რომ დიდ გამოცდილებას შევიმატებ-მეთქი, რადგან ამ გუნდებში თითქმის სულ სათადარიგო ვიყავი. „როკში“ კი ძირითადი გამთამაშებელი ვარ და იმედი მაქვს, ნდობას გავამართლებ. თუ ყველაფერს კარგად გავართვი თავი, სეზონის ბოლოს ძალიან ბევრი მატჩი მექნება ნათამაშები და შესაბამისად საკმაო გამოცდილებაც დამიგროვდება.

— არ იქნება, ნაკრებზე არ გკითხო: როგორ მოხდა, რომ ფინეთში დამარცხდით?

— თამაშს ალბათ, ყველა გულშემატკივარმა უყურა და იციან, რომ ფინელებმ უკანა ხაზში დაგვჯაბნეს. პერიმეტრზე ვერაფერი მოვუხერხეთ პეტრი ვირტანენს და ტეემუ რანიკოს. დასანანია, რომ დავმარცხდით, მაგრამ ზაზა ფაჩულიას ბოლოში რომ არ ეყოჩაღა, შეიძლებოდა, უარესიც მომხდარიყო. მიუხედავად ყველაფრისა, მიმაჩნია, რომ მომავალ სექტემბერს ფინეთს თბილისში ათ ქულაზე მეტით მოვუგებთ და ჯგუფიდან გავალთ.

ირაკლი პერტაია

სტუდენტობა თსუ-ში გაერთიანდა

ჭეიშვილმა უნივერსიტეტში ხალხი და ამბიცია მიიზიდა

სადაცაა, ახალი სეზონი გახურდება და გუნდებიც გამალებით ემზადებიან. ვისაც რისი შნო აქვს, იმას ესწრაფვის — შეძლებულები შეკრებებს აწყობენ, ჯიბეთხელი გუნდები კი, როგორც წესი, უამბიციოდ ხვდებიან სეზონს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი შეძლებულთა კატეგორიაში გადის — მერე რა, რომ სტუდენტებს დამფინანსებელი, კომპანია „ნიკორა“ წაუვიდათ — უნივერსიტეტელებმა მაინც მოახერხეს მძლავრი გუნდის შეკვრა და ამბიციებიც არ აკლიათ.

თსუ გუშინწინ ჩამოვიდა ბათუმიდან, სადაც ათდღიანი შეკრება გაიარა. ქალაქგარედ სავარჯიშოდ გასვლას მხოლოდ 2-3 გუნდი თუ მოახერხებს და მათ შორისაა თსუ.

სტუდენტები ახალ სეზონს ახალი მწვრთნელითა და გვარიანად გადახალისებული შემადგენლობით ხვდებიან. სტუდენტურ ტრანსფერს მოჰყვა ის, რომ სტუ-ს ამაგდარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი თსუ-ში გადაბარგდა და თან რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც გაიყოლა.

შიო ხეცურიანი, ლუკა შანიძე და რიჩარდ მათიაშვილი, სტუ-ს ეს ხერხემალი მომავალი სეზონიდან თსუ-ს შეეშველება.

„უნივერსიტეტების მშვენიერი შერწყმა მოხდა, თსუ-სა და სტუ-ს მოთამაშეებმა მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს — ვისაც უნდოდა, თსუ-ში წამომყვა, ზოგიერთებმა კი სხვა კლუბი ირჩიეს — გვითხრა თსუ-ს ახალმა თავკაცმა — ვფიქრობ, რომ ძალიან ნორმალური გუნდი გვყავს, არც პერსპექტიული მოთამაშეები გვაკლია და არც ამბიცია. საკმაოდ ახალგაზრდული შემადგენლობაა და შესაბამისად პოტენციალიც დიდი გვაქვს.“

თსუ-ელთა ერთ-ერთი სერიოზული შენამატია დავით იმნაძე, რომელიც გასულ სეზონში „აზოტის“ ფარს ამაგრებდა.

სადღეისოდ თსუ-ში დღეს 14 კალათბურთელი ირიცხება: ბესიკ ლეჟავა, დავით არწივიძე, ნოდარ ბერაია, გიორგი მარხვაშვილი, ნიკა ვეფხვაძე, შიო ხეცურიანი, მიხეილ ფანჩულიძე, ბუბა ბერიშვილი, ლუკა შანიძე, რიჩარდ მათიაშვილი, ლევან ტყეშელაშვილი, დავით იმნაძე, ზურაბ სანიკიძე და მიხეილ ბერიშვილი.

ვერაფერს იტყვი, კარგი შემადგენლობაა და ახლა ყველაფერი ნუგზარ ჭეიშვილზეა დამოკიდებული, რომელმაც უნდა შეკრას და შეათამაშოს გუნდი. სხვათა შორის, თსუ-ელებმა უკვე მოახერხეს საგმირო საქმის ქმნა — ბათუმში შეკრებაზე მყოფებმა ზღვისპირეთში ასევე მოსამზადებლად ჩასული რუსთავის „აზოტი“ დაამარცხეს.

„არ მეგონა, თუ გაცილებით კარგად მომზადებულ „აზოტს“ დავამარცხებდით — თქვა ჭეიშვილმა — ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშები გვქონდა, რუსთაველებმა კი ფიზმომზადება უკვე გაიარეს და უშუალოდ სათამაშო კომპონენტებში ვარჯიშობდნენ. ამიტომაც ჩავთვალე „აზოტის“ დამარცხება ჩვენს დიდ წარმატებად.“

თსუ ახლა საკუთარ დარბაზში ვარჯიშობს და კარსმომდგარ დუდუ დადიანის ტურნირისთვის, რომელიც 27 სექტემბერს დაიწყება, კბილებს ილესავს.

ირაკლი პერტაია

ხეჭეჭური ბორჯომ-ბაკურიანის ნაძვნარში

„გუშინ მთელი ღამის განმავლობაში რუსეთიდან ჩემი მეგობარი ბიზნესმენები, რომლებიც მათი ძიუდოისტების სპონსორები არიან, მირეკავდნენ და მირეკავდნენ. ისინი მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ჩვენი ძიუდოისტების გამარჯვებას მილოცავდნენ და თან მეუბნებოდნენ, ბადრი, რას გვერჩით, რას გვიშვრებით, გვღუპავთო?“ ეს ამბავი გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა მისსავე რეზიდენციაში გამართულ ამავე ორგანიზაციის აღმასკომის სხდომის მონაწილეებსა და იქ შეკრებილ ჟურნალისტებს გვითხრა



ბადრი პატარკაციშვილის ფოტო

აღმასკომის სხდომა ბადრი პატარკაციშვილმა სწორედ ჩვენი ძიუდოისტების გამარჯვების მილოცვით დაიწყო და მერე მეგობარი ბიზნესმენების ნათქვამიც გაიხსენა. ეტყობა, იმ ბიზნესმენებს, როგორც სპონსორებს, გვარიანი თანხა დაუხარჯავთ რუსეთის ძიუდოისტთა ნაკრებზე და მის ქართველებთან ფინალში დამარცხებას ალბათ მწარედ განიცდიდნენ.

რა უჯდებათ რუს სპონსორებს თანამემამულე ძიუდოისტთა ნაკრების სამზადისი, ამაზე ვერაფერს გეტყვით, ჩვენი კიმანოს ოსტატების თადარიგი კი ბოლო შვიდი თვის განმავლობაში თავად ბადრი პატარკაციშვილის ოლიმპიურმა ფონდმა 199 301 ლარით დააფინანსა. სულ ამ პერიოდში საქართველოს ოლიმპიური ფონდის მიერ ოლიმპიური და სხვა მიზნობრივი პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისთვის მილიონ 285 371 ლარია დახარჯული, მათ შორის ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა და ექიმთა, აგრეთვე ვეტერან ოლიმპიელთა ყოველთვიური სტიპენდიებისა და დახმარებებისთვის, აგრეთვე „ტურნე — 2006“ და „პეკინი — 2008“-ის ფარგლებში...

ეს ყოველივე გუშინდელი აღმასკომის სხდომაზე ითქვა და ამგვარმა ზრუნვამ ძიუდოისტებისთვის, როგორც ვნახეთ, ბრწყინვალე შედეგი მოიტანა, მთავარ მოსავალს კი პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ველით, თუმც პროგნოზებზე საუბარი გუშინ არც ყოფილა. ის კი ითქვა, რომ ჩინეთის დედაქალაქში საასპარეზოდ, უფრო სწორად ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლად მებრძოლი ჩვენი სპორტსმენების ანგარიშზე სამი ოლიმპიური ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალია. მათ ყულაბაშია აგრეთვე, მსოფლიოს ჩემპიონატების ექვსი პირველი, სამი მეორე და ხუთიც მესამე ადგილი.

ეს ყოველივე საპეკინოდ და სხვა შეჯიბრებებისთვის ოპტიმისტურად განგვაწყობს და სასიამოვნოა, რომ ჩვენი სპორტსმენებისთვის ოლიმპიური ფონდი არაფერს იშურებს.

ბადრი პატარკაციშვილს წყალში გადაყრილად არც ბორჯომის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ამაო მცდელობისთვის დახარჯული ნახევარი მილიონი მიაჩნია. მისი აზრით, ამას საქართველოსთვის ირიბი მოგება უკვე მოაქვს.

რაკი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი აგერ უკვე ნახევარი წელიწადია, არ შეკრებილა, გუშინდელ სხდომაზე ბაკურიანის განვლილ ოლიმპიურ ამბიციებზე და მის მომავალზე ვრცლად იმსჯელეს.

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვინც ბორჯომის კანდიდატურას მხარი დაუჭირა, მათი მცდელობა იმთავითვე მომავალზე იყო ორიენტირებული. მათთვის მაშინვე ცხადი იყო, რომ მრავალი პრობლემით დამძიმებულ ისეთ ქვეყანას, როგორიც დღევანდელი საქართველოა, ამ ეტაპზე ოლიმპიადას არავინ მისცემდა, მაგრამ ამ ნაბიჯით ჩვენმა ქვეყანამ დაანახვა მსოფლიოს, რომ მას სერიოზული პრეტენზიები აქვს და ოლიმპიურ მოძრაობაში ერთი რიგითი ქვეყნის როლი სულაც არ აკმაყოფილებს“ — თქვა გუშინდელ თავის მოხსენებაში „ბორჯომი-2014“-ის გენერალურმა მენეჯერმა, სეოკ-ის აღმასკომის წევრმა ვაჟა შუბლაძემ. მან ისიც მოგვახსენა, რომ ბორჯომი აპლიკანტ ქალაქთაგან ერთადერთი იყო, რომელიც ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას პირველად ლამობდა. მის მეტოქეთაგან კი საამისოდ სოფია აგერ უკვე 23 წელიწადია, რაც ამაოდ იბრძვის, ხაკას თხუთმეტწლიანი ამგვარი გამოცდილება აქვს, სოჭი ახლა მესამე ცდაზეა, ალმათს კი მეორე ცდა გაუცუდდა.

ისე, ცნობისთვის, მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ვანკუვერი მთელი 30 წლის განმავლობაში ელოდა ამგვარ სიხარულს.

„მაგრამ მე არ ვაპირებ 30, 25 ან თუნდაც 15-წლიან ლოდინს, ჩვენ კვლავ უნდა ვეცადოთ მანამდე ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას და ვუმასპინძლებთ კიდეც“ — თქვა ბადრი პატარკაციშვილმა, რაც ამ საკითხზე მიღებულ გუშინდელ დადგენილებაში შესაბამისად აისახა.

ბადრი პატარკაციშვილისა და სხვათა ოპტიმიზმს, ეტყობა, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ღია ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგებიც აძლიერებს, რომლის მიხედვითაც აპლიკანტ ქალაქებს შორის ბორჯომი მეორე ადგილზე იყო.

აღსანიშნავია, რომ ამ ზამთარს საქართველოს ეწვია დამოუკიდებელი სააგენტოს „ერაუნდ ზე რინგის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ატლანტელი ჟურნალისტი ედ ჰელა, რომელიც მთლიანად ოლიმპიური პრობლემებისადმი მიძღვნილი მისი გამოცემებისა და ვებგვერდების წყალობით დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ოლიმპიურ მოძრაობაში.

ამ კაცმა შემოიარა ბორჯომი და სხვა ყველა აპლიკანტი ქალაქი, რომლებზეც თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა. აი, რამდენიმე ამონარიდი მისი ბორჯომთან დაკავშირებული შთაბეჭდილებებიდან:

„...პატარა საკურორტო ქალაქი ბორჯომი სხვა აპლიკანტ ქალაქებთან შედარებით, ალბათ, ყველაზე მეტ სარგებელს ნახავს ოლიმპიური თამაშებიდან...“

„...იზოლირებული მდებარეობის მიუხედავად, ბაკურიანი უდავოდ სპორტის ზამთრის სახეობათა მარგალიტია. საბჭოთა პერიოდში, 1932 წელს, აქ გაიხსნა პირველი სათხილამურო ტრასა. ეს ფაქტი ბაკურიანს ერთ-ერთი უძველესი ზამთრის სპორტის ცენტრად წარმოგვიდგენს...“

„...საგანაცხადო ჯგუფის შემართება და ენერგია თვალნათლივ იგრძნობოდა მენეჯერებთან და ტექნიკურ ექსპერტებთან შეხვედრაში...“

„...ბორჯომის ცნობილი პროდუქტი, მინერალური წყალი, ისევე, როგორც ღვინო, ამოღებულია რუსეთის სავაჭრო ქსელიდან. ისინი მოსკოვ-თბილისის დაპირისპირებას ემსახურებოდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია, ამ „ომმა“ საქართველოს ეკონომიკის განვითარება შეიძლება წლების განმავლობაში ჩიხში მოაქციოს, რაც უდავოდ გაართულებს ოლიმპიადისთვის სამზადისს...“

დაბოლოს, გუშინდელი აღმასკომის სხდომის ანგარიშს ისევ ვაჟა შუბლაძის სიტყვებით დავასრულებთ:

„ადრე თუ გვიან საქართველოს ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. ხეჭეჭურისა არ იყოს, იქნებ ჩვენ ვერც კი მოვესწროთ ჩვენივე დარგული კეთილი ხის ნაყოფს, მაგრამ მით მას არაფერი მოაკლდება. მეორე მხრივ კი, თუ ჩვენს მონდომებასა და ძალისხმევას სხვათა მხარდაჭერაც დაემატა და გარეშე ხელისშემშლელ ფაქტორებსაც მოევლება, იქნებ ეს ხეჭეჭური ჩვენც ვიგემოთ. ყოველ შემთხვევაში ხე დარგულია.“

ავთანდილ გურასაშვილი

AFP მელბურნიდან

ბატისტა პირველი მერცხალია

შვიდთვიანი მოტომარათონის გასრულებამდე სამი ეტაპით ადრე პირველი ტრიუმფატორის ვინაობა გაირკვა.

21 წლის ესპანელმა ალვარო ბატისტამ 125 კუბურსანტიმეტრიან კატეგორიაში მეშვიდე დიდი პრიზის მოგებით ვადამდე გაინაღდა პირველი ტიტული. ალვარო წლეულს თითქმის ყოველ რბოლაში პოდიუმზე იდგა (მხოლოდ ერთხელ გავიდა მეოთხე ადგილზე), 280 ქულა დააგროვა და მდევრებისთვის მიუწვდომელი გახდა — მეორე პოზიციაზე მდგომი მიკა კალიო მას 79 ქულით ჩამორჩება, ეტაპის მოგება კი, შეგახსენებთ, 25 ქულით ფასდება.

კვირას მელბურნში, ოკეანისპირა „ფილიპ აილენდის“ ტრეკზე ბრძოლა დასაწყისშივე შეწყდა მასიური ავარიის გამო. კარგახნიანი პაუზის შემდეგ რბოლა კი განახლდა, მაგრამ ორგანიზატორებმა უსაფრთხოების მიზნით დასტანცია ლამის გაანახევრეს, 15 წრემდე შეკვეცეს. ბატისტა თავიდანვე ჩაუდგა სათავეში თითქმის ორმოცმხედრიან ქარავანს და მეწინავეობა ფინიშამდე აღარც დაუთმია.

სხვა ორ კატეგორიაში უმწვავესი სავვირგვინო ვითარებაა — კონკურენტები ერთი დიდი პრიზის მანძილზე არიან ურთიერთს დაშორებულნი და ტიტულის მომგებიც ალბათ მხოლოდ დასკვნით ეტაპზე გაირკვევა.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ვალენტინო როსიმ ზედიზედ მესამე პოდიუმით ამერიკელ ნიკი ჰეიდენის თითქოსდა უმყარეს ლიდერობას წყალი შეუყენა და მორიგი ტიტულის შანსიც დაიბრუნა. მელბურნში „სამეფოკლასელთა“ უნიკალური რბოლა ვიხილეთ — გზის მესამედის გავლის შემდეგ ისე გაავდრდა, რომ საბურავების სასწრაფოდ შეცვლა გახდა საჭირო, მაგრამ რადგან, ვთქვათ, ფორმულა ერთისგან განსხვავებით, ეს პროცედურა ბევრად რთულია, ამიტომ მხედრები წინასწარ შემზადებულ ახალრეზინიან რაშებზე გადასხდნენ.

„დოქტორი“ როსი სტარტის ჩაფლავების შემდეგ მხოლოდ მეათე იყო, მაგრამ ჩვეული გაფთრებული მანერით მიყოლებით ჩამოიტოვა მეტოქეები და ფინიშთან მესამე მიიჭრა.

გია ახალაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი. XIV ეტაპი

ავსტრალიის დიდი პრიზი. მელბურნი— 4,448 კმ

მოტო გრან პრი — 115,6 კმ

1 მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა) — 44 წთ; 15,6
2 კრის ვერმიულენი (ავსტრალია, სუზუკი) — ჩამორჩა 9,7
3 ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა) — 10,5

საერთო ჩათვლა

1 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) 225 ქულა; 2 როსი 204; 3 მელანდრი 193; 4 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 193; 5 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) 180

250 სმ³— 111,2 კმ

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — 39 წთ; 17,3
2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია) — ჩამორჩა 0,01
3 ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) — 6,6

საერთო ჩათვლა

1 ლორენცო 249 ქულა; 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰუმანჯესტ ჰონდა) 225; 3 დე ანჯელისი 167; 4 აოიამა 148; 5 რობერტო ლოკატელი (იტალია, ტოტი აპრილია) 147

125 სმ³— 66,7 კმ

1 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) — 24 წთ; 30,1
2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — ჩამორჩა 3,2
3 მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია) — 3,4

საერთო ჩათვლა

1 ბატისტა 280 ქულა; 2 კალიო 201; 3 პასინი 172; 4 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 143; 5 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 142

ფედერაციის თასი

ფინალი. შარლერუა. ბელგია. 16-17 სექტემბერი

ხარხარი შარლერუაში

იღბალმა იტალიას გაუცინა, ბელგიას დასცინა

ბელგია 2:3 იტალია

კირსტენ ფლიპკენსი	1:6 3:6	ფრანჩესკა სკიავონე
ჟუსტინ ენენ-არდენი	6:4 7:5	ფლავია პენეტა
ჟუსტინ ენენ-არდენი	6:4 7:5	ფრანჩესკა სკიავონე
კირსტენ ფლიპკენსი	7:6 3:6 3:6	მარა სანტანჯელო
ფლიპკენსი, ენენ არდენი	6:3 2:6 0:2 (უარი)	სკიავონე, რობერტა ვინჩი

იტალია ფედერაციის თასით ტკბება

საერთოდ ხარისხი რაოდენობას კი სჯობს, მაგრამ გასულ უქმეებზე იტალიელებმა დამტკიცეს, რომ თავდადების, ბოლომდე ბრძოლისა და მისი უდიდებულესობა, იღბალის დახმარებით ამ სენტენციის უარყოფა შესაძლებელია.

თუმცა აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ალბალმა არათუ გაუღიმა, არამედ გულიანადაც გაუცინა აპენინელებს, ბელგილებს კი სასტიკად დასცინა. აბა, თავად განსაჯეთ, რა უნდა დაეპირისპირებინათ იტალიელებს ისეთი სუპერ-დუეტისთვის, როგორიც ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლაისტერსი არიან. ასეთი შემადგენლობის დაყენებას მხოლოდ ამერიკელები და რუსები თუ შეძლებენ, მაგრამ ბენელუქსელებმა ხომ ფინალამდე ორივე უმთავრესი მეტოქე ჩამოიცილეს.

აპენინელების უმთავრესი იმედი კი საუკეთესო ოცეულის უცვლელი წევრი, მაგრამ მაინც საშუალოზე საშუალო ფრანჩესკა სკიავონე იყო. ხოლო რობერტა ვინჩი, მარა სანტანჯელო და ფლავია პენეტა კი ციდან ვარსკვლავებს ვერც ვერასდროს წყვეტდნენ და საეჭვოა, მომავალში დიდი რთველი მოაწყონ.

სამაგიეროდ, იტალიელებს იღბალი და მეტოქეთა ტრავმები მიეხმარა — პირველად აპენინელებს მაშინ მიეცათ რაღაცის იმედი, როცა კიმ კლაისტერსმა ზედ აშშ-ს ღია პირველობის წინ ხელი დაიზიანა. ამით მეტ...ქეთა საფინალო შანსები შესამჩნევად გათანაბრდა, რადგანაც ბელგიელები ენენის იმედადღა დარჩნენ — კირსტენ ფლიპკენსი ნიჭიერი კია, მაგრამ გამოცდილება აკლია. ძალთა წინასაფინალო განლაგება ასეთი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმე გადამწყვეტ, მეხუთე და თანაც წყვილთა თამაშამდე უნდა მისულიყო. იქ კი ფავორიტებს ველარავინ დაასახელებდა.

უნდა ითქვას, რომ ფინალი ზუსტად მოლოდინისამებრ წარიმართა, თითქოსდა სცენარი ყოფილიყოს დაწერილი. შაბათს პირველები კორტზე სკიავონე და ფლიპკენსი გავიდნენ. იტალიელმა ახალგაზრდამ ბელგიელს მასტერ-კლასი ჩაუტარა და თავისიანებიც დააწინაურა, თუმც ორიოდე საათში ენენმა პენეტას დამარცხებით ანგარიში გაათანაბრა. ისე, მასპინძელთა ჯილას ფრიად გაუჭირდა და რომ არა შარლერუას დარბაზში შეკრებილი 7 000-მდე ბელგიელის გამყრუებელი ღრიანცელი, იტალიელები პირველივე დღეს შეიქმნიდნენ სერიოზულ ფორას.

კვირას კი ენენმა პირნათლად შეასრულა რთული მოვალება და მეორე შეხვედრაც მოიგო. თან სკიავონე დაამარცხა. თუმც მასპინძლებს ჭმუნვის მიზეზი მაინც მიეცათ — ნიუ იორკში თამაშით გადაღლილმა ჭინკა ბელგიელმა ამ შეხვედრაში მუხლი დაიზიანა. ჰოდა, დიდი შანსი იყო, რომ სავარაუდო გადამწყვეტ წყვილთა შეხვედრაში ბელგიელთა ლიდერს ვერ ეთამაშა.

ამის ასაცილებლად ფლიპკენსს თავისი შეხვედრა უნდა მოეგო. იტალიელთა კაპიტანმა კორადო ბარაზუტიმ კი წინა დღეს ნათამაშები და შესაბამისად დაღლილი პენეტას მაგივრად დასვენებული მარა სანტანჯელო გაუშვა კორტზე. ეს ალბათ გადამწყვეტი აღმოჩნდა — იტალიელი თავიდან ღელავდა და ამის გამო პირველი სეტიც წააგო.

ბელგიელებს სანაკრებო ტრიუმფამდე სეტილა დარჩენოდათ, მაგრამ სანტანჯელომ აქ თავი გაიგიჟა და საცოდავი ფლიპკენსი კორტიდან უბრალოდ წაშალა — მომდევნო ორ პარტიაში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო და 2:2.

დადგა წყვილთა ჯერიც. კვლავ კორტზე გასვლა მოუწიათ ტრავმიან ენენსა და გადაღლილ ფლიპკენსს. იტალიელებს კი გრძელი სკამი გამოადგათ და სკიავონეს თავიანთი მეოთხე ჩოგბურთელი რობერტა ვინჩი შეუწყვილეს.

სანამ შეძლეს და ირბინეს, ენენმა და ფლიპკენსმა დაჩაგრეს მეტოქეები — პირველი სეტი მოიგეს და კვლავაც ერთი ნაბიჯი ტრიუმფამდე.. მაგრამ მასპინძლებს უბრალოდ, ძალები არ ეყოთ. იტალიელებმა კვლავ გაათანაბრეს ანგარიში. აქ კი იღბალმა თუ განგებამ კიდევ ერთხელ გაუღიმათ, რადგანაც ენენმა ველარ შეძლო თამაშის გაგრძელება...

მერე კი დიდი ზეიმი გააჩაღეს იტალიელელბმა საკმაოდ მტრულ გარემოცვაში. მაგრამ სკიავონე და კომპანია სულაც არ დაგიდევდათ მასპინძელთა ცრემლებსა თუ ბრაზს — აპენინელებმა პირველად მოიპოვეს მსოფლიოში საუკეთესოს ტიტული და ტრიუმფიც შესაბამისად შმაგი მოიწყვეს.

„ღმერთო ჩემო, არ მჯერა.. იმედია, ეს წარმატება ბიძგს მისცემს ჩოგბურთის განვითარებას იტალიაში. ჩვენ ნამდვილი გმირები ვართ" — თქვა გამარჯვებულთა ლიდერმა სკიავონემ.

„ძალიან ვამაყობ ჩემი გუნდით. ჩემთვის დიდი პატივია მათი კაპიტნობა. ეს მართლაც უდიდესი წარმატებაა, მაგრამ ჟუსტინზე მწყდება გული. ის არ იმსახურებდა ასე წაგებას და არც ჩვენ გვინდოდა ასე გამარჯვება. თუმც მოგება მაინც მოგებაა" — ბოლოს დიდსულოვნება გამოიჩინა ბარაზუტიმ.

ბაჩა ლომჯარიძე

ჟუსტინ ენენ-არდენს ბედმა და მუხლმა უმუხთლა

იააფ-ის მსოფლიოს თასი

ათენი. მეორე დღე

სამძლეოსნო ევრ-ჰოპა!

იააფ-ის მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე დღემ ამ ორდღიანი ერთგვარი სანაკრებო ტურნირის ცხრილში ბევრი არაფერი შეცვალა. კაცთა განაკვეთში მოლიდერე ევროპის რჩეულ მძლეოსანთა გუნდმა მეორე დღეს შესანიშნავად განვლო და ბოლო 25 წელიწადში პირველად მოიპოვა მსოფლიოს სანაკრებო თასი, რომელიც ბოლო ხუთი წელი ერთთავად აფრიკელებს მიჰქონდათ თავის კონტინენტზე.

თუმცა ჩვენ ჯერ აუცსაიდერთა ამბავი ვთქვათ. ტურნირის მასპინძელ ბერძნებს ვაჟებშიც და ქალებშიც სუსტი გუნდები რომ ჰყავდათ, ეს დაწყებამდეც ჩანდა. როგორ უნდა გაეჯიბროს ეს 10-მილიონიანი ქვეყანა თუნდაც აზიის, ან ამერიკის ნაკრებს?! დიდრონებს ვერა და მასპინძლებს პირველი დღის შემდეგ იმის იმედი მაინც გაუჩნდათ, ოკეანელთა არცთუ ძლიერ გუნდს ჩვენი ქალები მაინც აჯობებენო, მაგრამ არც აქ გამოუვიდათ რამე. ოკეანეთელებს — ქალებსაც და კაცებსაც ბოლო 9 მსოფლიოს თასზე სულ რაღაც 4 დისციპლინის მოგება თუ მოეხერხებინათ, მაგრამ მაინცდამაინც ახლა გამოიდეს თავი და ათენში ერთბაშად 3 გამარჯვება მიითვალეს — კრეიგ მოტრამმა 3 000 მეტრზე სირბილი მოიგო, ახალზელანდიელმა ზორბა ქალმა ბირთვის კვრაში იმარჯვა, სტივ ჰუკერმა კი კაცთა ჭოკით ხტომაში იპირველა. მოკლედ, ბერძნებს არც ქალებში და არც კაცებში არ მისცემიათ ბოლო ადგილიდან დაძვრის შანსი. ოკეანეთელებს კი ამ გამარჯვებებმა და კიდევ ერთი-ორმა რიგიანმა შედეგმა ბოლოსწინა, ანუ მე-8 ადგილებზე დაამკვიდრებინა თავი.

მაგრამ დავუბრუნდეთ გამარჯვებულებს — კაცებში ბებერი კონტინენტის რჩეულ მძლეოსანთა კრებულს, ქალებში კი რუსთა ნაკრებს. კაცთა დავაში ევროპელებს მთავარ კონკურენციას უსწრაფესი სპრინტერებით გაძეძგილი აშშ-ს გუნდი უწევდა და ბოლო შეჯიბრებამდე ინარჩუნებდა პირველობის ჩამორთმევის შანსს. ბადროს და შუბის მტყორცნელებს, ლიტველი ვირგალიუს ალეკნას, ნორვეგიელი ანდრეას ტორკილდსენის, აგრეთვე სხვათა გამარჯვებების შემდეგ ევროპა ბოლო დისციპლინის, 4x400 მეტრზე ესტაფეტის წინ ქულით უგებდა აშშ-ელებს და ევროპელ მოესტაფეტეებს. საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად 9 გუნდში თუნდაც ერთის ჯობნაც ჰყოფნიდა. შავ-შავი შტატელები სულ თავპირისმტვრევით გარბოდნენ და დანარჩენი ამერიკის არანაკლებ შავ-შავი ბიჭების ოთხეულთან უდაძაბულესი რბოლა სულ რაღაც 0,03 წამით მოიგეს, სხვები კი მთელი წამებით ჩამოიტოვეს და თანაგუნდელთა მონაგრის თავიანთი წილი 9 ქულაც მიამატეს. მაგრამ არც ევროპელები თვლემდნენ სარბენ ბილიკებზე, ამ ესტაფეტაში მათ მე-5 ადგილი და 5 ქულა შეხვდათ, რაც სავსებით ეყოთ საერთო ჩათვლაში პირველობის შესანარჩუნებლად. მოქმედმა ჩემპიონმა აფრიკამ კი ევროპელთა და შტატელთა ზურგს უკან მესამე ადგილი დაიკავა.

ევროპელები ქალთა გუნდმაც არ დაალალატა — ბოლო დისციპლინებამდე, ინარჩუნებდა ჩემპიონობის შანსს, მაგრამ ბოლოსკენ ისევ რუსმა დედაკაცებმა იძალეს და ოქროს მედლებიც მათ დარჩათ. სულ უკანასკნელ სახეობაში, 5 000 მეტრზე სირბილში რუსი ლილია შობუხოვა უცნობილესი აფრიკელის მესერეტ დეფარის შემდეგ 8 ქულის მომტან მეორე ადგილზე გავიდა და თანაგუნდელთა პირველობასაც წერტილი დაუსვა.

ბოტე ყორშია

საბოლოო ცხრილი

ვაჟები

1	ევროპა	140
2	აშშ	136
3	აფრიკა	116
4	აზია	110
5	ამერიკა	104
6	რუსეთი	89
7	საფრანგეთი	79
8	ოკეანეთი	78
9	საბერძნეთი	44

ქალები

1	რუსეთი	137
2	ევროპა	128
3	ამერიკა	117
4	აშშ	101,5
5	პოლონეთი	97
6	აფრიკა	96,5
7	აზია	85,5
8	ოკეანეთი	73
9	საბერძნეთი	60,5

ოთხი წელი ძიუდოს მზე საქართველოდან ამოვა

ოქროს ბიჭების დასახვედრად აეროპორტის ვიპ-გამოსასვლელთან ბლომად ხალხი შეიკრიბა. ნათესავ-მეგობრებისა და ჟურნალისტების გარდა, ძიუდოისტების დასახვედრად ის გულშემატკივრებიც მივიდნენ, ტურნირის შესახებ მხოლოდ პრესის საშუალებით რომ შეიტყვეს.

თვითმფრინავი ექვსი საათისთვის დაეშვა და ოფიციალური პირებიც ტრაპზევე შეეგებნენ ჩემპიონებს. ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი და ვიცე-პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილიც დამხვდურთა შორის იყვნენ, სპორტის პირველკაცებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად.

ცოტა ხანში ვიპ-ჭიშკარს მიღმა ქსოვრელებიც გაატარეს და ზურნა-დოლ-გარმონის აკომპანიმენტით შოთა ხაბარელი და ნაციონალური მოძრაობის მაისურებში გამოწყობილი მისი გუნდი ხალხს შეუერთდნენ. თასი ევროპის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმა გამოიტანა. მერე კი თასმა ხვევნა-კოცნასა და მილოცვებში უამრავი ხელი მოიარა. ალყაში მოქცეული ტრიუმფატორების ინტერვიუსთვის მოხელთება საოცრად გაძნელდა.

პირველს საქართველოს დროშაში გამოხვეულ ნაკრების მთავარ ექიმ ზურაბ კახაბრიშვილს გავესაუბრეთ:

— სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა ბედნიერები ვიყავით გუშინ და რას ვგრძნობთ დღეს, როცა ამ თასით ხელში ჩვენს ხალხს ვხვდებით. პარიზულ ტატამზე ბიჭებმა კბილებით იბრძოლეს და შეუძლებელი შეძლეს. ექიმი ვარ და განსაკუთრებით ორი ძიუდოისტის გარჯას გამოვარჩევ. ზაზა კედელაშვილმა მეტოქეებსაც აჯობა და ზოგადად მედიცინასაც კი. პირველსავე ეტაპზე ტვინის შერყევა მიიღო და ტატამიდან გამოსულს გული აერია. ჩვეულებრივ ასეთ მომენტში სპორტსმენს შეჯიბრებიდან ვხსნით, მაგრამ ზაზამ გადაწყვიტა, ბოლომდე ებრძოლა. ჩვენც გავრისკეთ და ჭიდაობის ნება დავრთეთ. მას შემდეგ სამი ბრძოლა ჩაატარა და სამივე ბრწყინვალედ მოიგო. შეხვედრებს შორის კი გულს ირევდა ხოლმე. ყველა ბრძოლაში იმარჯვა ირაკლი ცირეკიძემაც, რომელმაც ასევე პირველ ეტაპზე თითი მოიტეხა.

გუშინ საღამოს თბილისის აეროპორტში დიდი ამბავი იყო — ძიუდოისტთა ნაკრები პარიზიდან მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტულით დაბრუნდა. უპრესტიჟულესი გუნდური პირველობა ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და ქართველები ტატამზე სულ რომ აღარ გავიდნენ, 2010 წლამდე ჩვენი ნაკრები პლანეტის უძლიერეს გუნდად მოიხსენიება

ზაზა კედელაშვილი და ნესტორ ხერგიანი

შოთა ხაბარელი:

— პარიზული წუთები სიცოცხლის ბოლომდე არ დამავიწყდება. რუსეთის ძლევის შემდეგ ფრანგ ჟურნალისტს ვუთხარი და ერთხელაც გავიმეორებ — პირველად მსგავსი ბედნიერება 1980 წელს, ჩემი ოლიმპიური ჩემპიონობით განვიცადე, მეორედ 2004 წელს ათენში, როცა ზვიადაურმა მოიპოვა ოლიმპიური ოქრო, მესამედ კი ახლა. შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონები გუნდურ ჩათვლაში მომავალშიც გავხდეთ, მაგრამ პირველი სიხარული მაინც შეუდარებელია. აქამდე პლანეტის უძლიერეს გუნდად იაპონია ითვლებოდა. საფრანგეთში იაპონური მითი დავანგრიეთ და მათ ეს ტიტული ოთხი წლით ჩამოვართვით. ფინალში კი რუსეთს მოვუგეთ. აბა, ამაზე მეტი ბედნიერება რა გინდათ.

ზაზა კედელაშვილი:

— სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა სიხარული განვიცადეთ, ფინალში რუსეთს რომ მოვუგეთ. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონობა ყველაზე მაღლა დგას, მაგრამ სულ სხვა განცდაა, როდესაც გადამწყვეტ ბრძოლაში რუსეთს ამარცხებ.

— პირველი ბრძოლისას ტვინის შერყევა მიგიღია...

— პირველი ბრძოლისას თავი გამიტყდა. საკმაოდ დიდი ჭრილობა იყო, მაგრამ ნაკერები არ დავიდე, რადგან მერე ჭიდაობას ველარ შევძლებდი. ასე, ღია ჭრილობით გავაგრძელე ტურნირი და, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. ექიმების დიაგნოზით, ტვინის შერყევა მქონდა, მაგრამ როდესაც ტატამზე გავდიოდი, მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობდი.

— ყველაზე მეტად ვისთან გაგიჭირდა?

— იოლი ბრძოლა არც ერთ მეტოქესთან არ მქონია, მით უმეტეს, ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებით. ერთი სიტყვით, ვერ ვიტყვი, რომელი იყო იოლი და რომელი რთული.

დავით ქევხიშვილი:

— რა თქმა უნდა, უზომოდ ბედნიერი ვარ, თანაც როგორც იქნა, ჩემი თავით კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარ თავზე სამუშაო აღარ მაქვს. რაც მთავარია, ფინალში რუსთა ერთ-ერთ იმედს, ევროპის ჩემპიონ მეჯიდოვს მოვუგე და ეს გამარჯვება ჩემთვის ორმაგად სასიხარულო იყო. ნელ-ნელა ოპტიმალურ ფორმაში შევდივარ, საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ და ჩემზე გაცემულ ავანსებს აუცილებლად გავამართლებ.

ოთარ მაღლაკელიძე
ბაჩო სვანიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge